ლეკვი ლომისა ცორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!

ფსარული

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 5 (310) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის მარტი

ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოს... ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.

აკაკი

იოსებ ნონეშვილი

დედა

დედავ — სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ — ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.
ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“,
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.
შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა,
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.
მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი.
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტოტინებდი ჩემთან ბავშვივით.
დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგეწთო.
თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.
როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული.
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.
ახლაც შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება,
შენ შემაყვარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება.
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.
დედავ — სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ — ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ინსტიტუტს — ლენინის ორდენი


24 თებერვალს ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში კვლავ გრძელდებოდა დაძაბული შემოქმედებითი შრომა, თუმცა ყოველივეს საზეიმო ელფერი აჩნდა. სააქტო დარბაზში თავი მოეყარათ რამდენიმე თაობის პროფესორ-მასწავლებლებს, წარჩინებულ სტუდენტებს, მეტინგზე, რომელიც ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენის გადაცემას მიეძღვნა.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა **იოსებ ბუაჩიძემ.**

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი ძოწენიძე.** მან აღნიშნა სამშობლოს წინაშე ინსტიტუტის დამსახურება კადრების აღზრდის საქმეში და გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის **ლენინის ორდენით** დაჯილდოების შესახებ. მან ეს საპატიო ჯილდო ინსტიტუტის წითელ დროშაზე დააბნია.

ინსტიტუტს ეს დიდი ჯილდო მიულოცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ედუარდ შევარდნაძემ** და რწმენა გამოთქვა, რომ მისი კოლექტივი კვლავაც ნაყოფიერად იშრომებს მაღალკვალიფიციური კადრების აღსაზრდელად, მეცნიერებაში თავისი ღირსეული წვლილის შესატანად.

რექტორმა პროფესორმა **იოსებ ბუაჩიძემ** მადლობა გადაიხადა ინსტიტუტის მიერ გაწეული შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.



გაზაფხული და რვა მარტი ერთად მოგვილოცნია!

სურათზე: ლიანა ისაკაძე. დიმიტრი მჟინარიშვილის ფოტო



გაზაფხულის ღღესასწაულს გილოცავთ!

საბჭოთა საქართველოს ქალები ეგებებიან თავიანთ ორმოცდაშეთორმეტე მშვენიერ გაზაფხულს. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც საბჭოების ქვეყანაში ტრადიციად იქცა შევხვდეთ 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს — როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს!

წარსულს ჩაბარდა დღეები, როცა უუფლებობა და დამცირება იყო ქალის ხვედრი, როცა მუშა ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასის ნახევარს შეადგენდა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი 13-14 საათზე ნაკლები არ იყო. არავის აწუხებდა ქალის, როგორც დედის, ბედი. ფეხმძიმე მუშა ქალი ბოლო წუთებამდე იდგა დაზგასთან. არც გლეხი ქალის ხვედრი იყო უკეთესი...

ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ადამიანთა მრავალი თაობის მოწინავე წარმომადგენლები ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაზე, სადაც ქალი და მამაკაცი თანასწორნი იქნებოდნენ. მაგრამ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მსოფლიოს ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო განეხორციელებინა ადამიანთა ეს სანუკვარი ოცნება.

„საბჭოთა ხელისუფლებამ, — წერდა ვლადიმერ ლენინი, — როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, მისი არსებობის პირველ თვეებშივე, ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ“.

და, მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული პირველივე დეკრეტები შეეხება ქალთა შრომის დაცვას, დედისა და ბავშვის ინტერესებზე ზრუნვას, ქალის, როგორც მოქალაქის, მშრომელისა და დედის უფლებათა განმტკიცებას.

ქართველმა ქალებმა, საბჭოთა ქვეყნის ქალებთან ერთად, დიდი და სახელოვანი გზა განვლეს. ისინი იბრძოდნენ რევოლუციის ბარიკადებზე, მკერდით იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს სამოქალაქო და სამამულო ომის წლებში, თავდადებით შრომობდნენ ქვეყნის კიდევ უფრო განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ — ბრძანა შოთა რუსთაველმა და ამით აღიარა ქალის თანასწორობა მამაკაცთან.

დასაბამიდანვე ყველაფერი იცოდა ქართველმა ქალმა: წერა-კითხვაც და შვილის სახელოვნად აღზრდაც, ბრძოლაც და შრომაც, მეგობრობაც და თავდადებაც. აი რა თბილად, შთაგონებით გვიხსნის დიდი ილია ქართველებისათვის უძვირფასეს სიტყვას — „დედას“:

„ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა ქალაქს“, მკვიდრს და დიდბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს — „დედა ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის დედას“. რამოდენად გაღიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გაბრავალგვარებული და თავმოსაწონებელი!... სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“?!

ქართველი ქალი მამაკაცთან ერთად შინ და გარეთ ჭირსა თუ ლხინს რომ იზიარებდა, ამაზე თვით სიტყვა „მეუღლეც“ მიუთითებს. მართლაც რომ თანაბრად ეწოდნენ უღელს კაცსა და ქალიც.

საქართველოში ქალის, დედის მცნება ყოველთვის დაკავშირებული იყო სიკეთის, გონიერულობის, სათნოების განსახიერებასთან.

ქართველი ქალის შვენიერებასა და გონიერებას ხოტბას ასხამდნენ ჩვენოფონტე, სტრაბონი, შარდენი, ვაგიფი, ჰიუგო, დიუმა, პუშკინი, ლერმონტოვი...

ისტორიამ შემოგვინახა ბევრი წერილობითი ძეგლი, ზეპირსიტყვიერი მასალა, რომლებშიც გადმოცემულია ქართველ ქალთა შესახებ ნავი და საგმირო საქმეები. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნისა და დაცვის საქმეში. სწავლა-განათლების საქმეც ძველად ქალების ხელთ იყო. ისინი ავრცელებდნენ წერა-კითხვას, თარგმნიდნენ წიგნებს, იყვნენ ჰიმნოგრაფები, გადამწერები, კალიგრაფები...

ხერხეულიძეების დედამ ცხრა გმირი გაუზარდა სამშობლოს. საყოველთაოდ არის ცნობილი მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელისა და სხვათა სახელები...

ქართველი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. მამების, ქმრების, ძმების, შვილების გვერდით იბრძოდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის ბაბე და მარო ბოჭორიძეები, ოლღა გაბუნია, ნატო ლომთათიძე, ვარო ჯაფარიძე, ნატალია ლელაშვილი, ჯავარა ხუტულაშვილი, მარიამ და ოლღა სტურუები, ნატალია ქიქოძე, ელენე ბაქრაძე...

მამებთან, ქმრებთან, შვილებთან ერთად პირველი ხუთწლედების მანძილზე საფუძველს უყრიდნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, შრომობდნენ ფაბრიკებში, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ახალი ქალაქების, ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად ეთერ მაზანაშვილი, თამარ როსტომაშვილი, აიშე გურგენიძე, უშა აბუბა, ცაცა ქარდავა, ელენე ნატროშვილი და მრავალი სხვა.

მამების, ქმრების, ძმების, შვილების მხარდამხარ სამამულო ომის წლებში მეერდით იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს ფაშისტი დამპყრობელებისაგან თინა იოსებიძე, ზოია რუხაძე, თამარ მახარაძე, ვენერა ადამია, სურიე ინაიშვილი, ქეთევან ხომერიკი, გალინა ჯაში, კლარა ხოჭოლავა...

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან იცოდნენ ქალებმა ომი, ამიტომაც ჩაიცვეს ჯარისკაცის ფარაჯა და აიღეს მაშხანა ხელში, გახდნენ მოწყალების დები... შრომობდნენ ზურგში.

სამუდამოდ შევა ისტორიაში უმაგალითო გმირობა საბჭოთა ქალებისა, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები ვაჟკაცობასა და გმირობას იჩენდნენ შრომის ფრონტზე.

საბჭოთა საქართველოს ქალები ახალი, პროგრესული საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგში არიან. ჩვენში არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი დარგი, რომელშიც ქალები არ მონაწილეობდნენ. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალი არ სარგებლობს ისეთი შეუზღუდავი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი უფლებებით, როგორც ჩვენთან. დღეს არავის უკვირს, რომ საბჭოეთში ქალი მინისტრი, თავმჯდომარე და დირექტორია; ქალი მუშა, კოლმეურნე, მძღოლი და მფრინავია; ქალი ინჟინერი, ექიმი და მეცნიერია.

საბჭოთა ქალი წარმოდგენილია სახელმწიფოს ყველა ორგანოში — დაწყებული სასოფლო საბჭოდან და დამთავრებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოთი.

„ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნენ მამაკაცების თანაბრად“ — სსრ კავშირის კონსტიტუციის ეს მუხლიც სრულყოფილად არის ჩვენში განხორციელებული. საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში — ჩვენი დიადი სამშობლოს პარლამენტში — საქართველოდან 23 ქალია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატიდან კი 125 ქალია, მათ შორის მრავალი მუშა და კოლმეურნეა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია ვიქტორია სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები არიან ბარბარე გრიგალაშვილი და ლილი ხოზრევანიძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები არიან რუსუდან ჯაფარიძე, თამარ თავაძე და რუსუდან ციცაგი. განათლების მინისტრია თამარ ლაშქარაშვილი, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრია ფათუმა დუმბაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა ნინო ჟვანია...

ჩვენში სპეციალისტ ქალთა რიცხვი აღემატება მამაკაცთა რიცხვს — იგი 52 პროცენტს შეადგენს.

ქართველი ქალის გამრჯე და ნაზი ხელით არის გაკეთებული ზუსტი ხელსაწყო თუ ფოლადის მილი, საქართველოს მდელოსავით აყრელებული აბრეშუმი თუ ბროლის სურა...

ქართველი ქალის გამრჯე და ნაზი ხელით არის მოყვანილი ნარინჯისფერი მანდარინი თუ საქართველოს მზით სავსე ყურძნის მტევანი, სურნელოვანი ჩაი თუ ლოყაწითელი ვაშლი...

სოციალისტური შრომის გმირები არიან ეთერ სოლომონია, თამარ ყუფუნია, ტატიანა ჩხაიძე, ნადეჟდა ომერიძე, ვინარი სხულუხია, ვერა ქემაშვილი, დალი წივწივაძე, ალექსანდრა გამყრელიძე და მრავალი სხვა. გმირის საპატიო სახელს 385 ქართველი ქალი ატარებს.

მეცნიერების ყველა დარგში ახალი მიღწევების მრავალი ფურცელი ჩაწერეს ქართველმა ქალებმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ 1922 წელს მხოლოდ 3 ასპირანტი ქალი მუშაობდა, ამჟამად მარტო აქ 600-ზე მეტი ქალია პროფესორ-მასწავლებელი და ასპირანტი.

ვინ არ იცნობს ჩვენს სასიქადულო მეცნიერ ქალებს — ქართული ჩაის საუკეთესო ჯიშების ჯადოქარს, სამი აკადემიის ნამდვილ წევრს — ჩვენია ბახტაძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს — ნინო ჯავახიშვილსა და იურისტ ქალს — თინათინ წერეთელს. მეცნიერებისა და ახალგაზრდობის განათლების საქმეს თავდადებით ემსახურებიან პროფესორები — ქსენია სიხარულიძე, ქეთევან ლომთათიძე, თინათინ მრევლიშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ელენე ნანობაშვილი, დარია ბერეჟიანი, თამარ დეკანოსიძე და მრავალი სხვა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია პედაგოგურ მეცნიერებათა კანდიდატი ნათელა ვასაძე.

საბჭოთა ქვეყანა, მისი მდიდარი ბუნება, დიადი მშენებლობანი, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, შრომა და მოღვაწეობა დაუშრეტელი თემაა ქართველი მწერალი და პოეტი, მხატვარი და მუსიკოსი ქალებისა. ქართული კულტურის საგანძურში თავიანთი წვლილი შეაქვთ მსახიობ ქალებს, ხოლო, საერთაშორისო სასპორტო მოძრაობის ისტორიაში ქართველ ქალებს არაერთი ღირსეული ფურცელი ჩაუწერიათ. საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენელ ქალთა — მარიჯანის, მაყვალა მრევლიშვილის, მარიკა ბარათაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, მერი დავითაშვილის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას სახელები.

ქალი სიკეთის, სინაზის, სათნოებისა და ერთგულების განსახიერებაა, ქალი მეუღლე და დედაა. დედის შრომა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში გათანაბრებულია გმირობასთან და განა რა არის იმაზე საპატიო მოვალეობა, რომ აღზარდო მომავალი თაობა, რომელიც შრომისმოყვარეობითა და სიმამაცით ამრავლებს და განამტკიცებს საყვარელი სამშობლოს ხვავსა და ბარაქას, სახელსა და სიმძლავრეს!

საქართველოში, სადაც 5 მილიონამდე მცხოვრებია, 2 ათასზე მეტი „გმირი დედაა“, რომლებმაც აღზარდეს ათი და მეტი შვილი, ხოლო 5 და მეტი შვილის გაზრდისათვის 183.800 ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი მოფიქრებული, მრავალფეროვანი სისტემა დაწესებულებებისა, რომლებიც ეხმარებიან დედას ჯანსაღი ბავშვების აღზრდაში. ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში შენდება ბევრი საბავშვო ბაღი და ბაგა, საკონსულტაციო და საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატი და სანატორიუმი, სამშობიარო სახლი. სახელმწიფო არ ზოგავს ძალასა და სახსრებს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების ქსელის განვითარებაზე. მარტო საქართველოში 1.785 საბავშვო ბაღი და ბაგა ემსახურება პატარებს. სკოლამდელი დაწესებულებანი ზრდიან ფიზიკურად და გონებრივად განვითარებულ ნორჩ თაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილების შესაბამისად კვლავ გაიზრდება ბაგა-ბაღების, სკოლა-ინტერნატების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელი.

მსოფლიოში ქალები კაცობრიობის ნახევარზე მეტს შეადგენენ და დიდ ძალას წარმოადგენენ. მათ ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ რათა იმპერიალიზმის ბნელ ზრახვებს გადაუღობონ გზა. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ საქართველოს ქალებიც. ისინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მხურვალე მხარდამჭერნი არიან და იბრძვიან იმისათვის, რომ დედამიწაზე სამუდამოდ დამკვიდრდეს მშვიდობა, თავისუფლება, ძმობა და ბედნიერება.

ძვირფასო ქართველო ქალებო! გილოცავთ გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულს — 8 მარტს. გისურვებთ წარმატებებს მოზარდი თაობის ღირსეულად აღზრდაში, ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ზინაიდა კვაჭაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

ღღეგრძელიმც იყოს დედაკაცი და დედაკაცი!



თამარ ჯორბენაძე



ნინო ჩაჩანიძვილი



ვერა ქემაშვილი






ვარო ჯაფარიძე

„საქართველო“ ულოცავს!

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საქართველოს სსრ 1973 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიანიჭა:

ლიტერატურის დარგში:

მურმან სილოვანის ძე ლებანიძეს — 1970, 1971, 1972 წლებში გამოქვეყნებული ლექსებისა და პოემებისათვის, რომლებიც შევიდა „ერთტომეულში“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972 წელი).

მუსიკის დარგში:

სულხან ივანეს ძე ნასიძეს — № 3 კამერული სიმფონიისა და მეორე სიმებიანი კვარტეტისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში:

ვლადიმერ დავითის ძე გრიგოლიას — შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971 წელი), ვაჟა-ფშაველას „რჩეულის“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971 წელი), მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971-1972 წლები), გალაკტიონ ტაბიძის 12-ტომეულის (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972 წელი) მხატვრული გაფორმებისათვის, აგრეთვე ქართველ მწერალთა გრაფიკული პორტრეტების სერიისათვის (1966-1972 წლები).

თეატრალური ხელოვნების დარგში:

ნინო შალვას ასულ რამიშვილს, ილია ილიას ძე სუხიშვილს — 1971-1972 წლებში ახალი ქორეოგრაფიული დადგმებისა და საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

არქიტექტურის დარგში:

ივანე ნოეს ძე ჩხენკელს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობის არქიტექტურისათვის.

საბავშვო ლიტერატურის დარგში:

მაყვალა ალექსანდრეს ასულ მრევლიშვილს — უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის.




მაყვალა მრევლიშვილი



ნინო რამიშვილი



მურმან ლებანიძე



ილია სუხიშვილი



ვლადიმერ გრიგოლია



ივანე ჩხენკელი



სულხან ნასიძე

მეცნიერების და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა 1973 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიები მიანიჭა:

1. **ძიძიგურს არჩილ ამბროსის ძეს** (ხელმძღვანელს), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორს;

ზურაბიშვილს ირაკლი ივანეს ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს;

კალანდაძეს ვლადიმერ ალექსის ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

მიქელაძეს ალექსი სიმონის ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს;

ონიანს მურმან ილიას ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს;

ცინცაძეს ივლიანე დავითის ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს;

ჭანიშვილს ვლადიმერ თომას ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს —

საქართველოს ფენოვანი საბადოების მაგალითზე შახტებისა და მაღაროების აეროლოგიის ეფექტიანი სისტემების კვლევის დარგში სამუშაოთა ციკლისათვის (1952-1972 წლები).

2. **გულისაშვილს ვასილ ზაქარიას ძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ხე-ტყის ინსტიტუტის დირექტორს —

მონოგრაფიებისათვის: 1. „სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის მერქნიანი მცენარეულობის წარმოშობა და მათი მემკვიდრეობითი თავისებურებების განვითარება“, 1967 წელი და 2. „სტადიურობა მცენარეთა განვითარებაში მათს წარმოშობასთან დაკავშირებით“, 1965 წელი.

3. **გამყრელიძეს პეტრე დიანოზის ძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს;

ზარიძეს გიორგი მიხეილის ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

კაჭარავას ივანე ბესარიონის ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

რუბინშტეინს მარკ მიხეილის ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს;

ცაგარელს არჩილ ლუკას ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

ჭელიძეს გრიგოლ ფილიპეს ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს —

1964 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „სსრ კავშირის გეოლოგია“, ტომი X, საქართველოს სსრ, ნაწილი I, გეოლოგიური აღწერა.

4. **დვალს რაფიელ რაფიელის ძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორს —

1970 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „ტრაქტორის თეორია“.

მოწოდების ქალი

არც ერთი საქმე არ არსებობს უსიყვარულოდ, მოწოდების გარეშე.

სწორედ ეს სიყვარული დასთმაშებდა სახეზე, როცა საგულდაგულოდ მოვლილ პლანტაციას გვიჩვენებდა.

შთაგონებას, მოწოდების გარეშე განა გაძლებს ადამიანი ზაფხულის ხვატიან დღეებში, ქარში, წვიმაში ბუჩქებთან? არაა..

ამ შთაგონებას მრავალი სახელი ჰქვია, დაკავშირებული რომ არის ისევ იმ ფუძესთან, რომელზეც დგას სამშობლო, სოფელი, ოჯახი, დედა...

სწორედ ამგვარი შრომისმოყვარე ადამიანია წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიე თინა ჭანტურია.

• • •

უჭირდა ქვეყანას, უჭირდა სოფელს. უჭირდა უკაცრად დარჩენილ ოჯახსაც. წელებზე ფეხს იდგამდა დედა მელანია და ისე არჩენდა წვრილშვილს.

წამოეზარდა უფროსი ქალიშვილი ასანიკო ოჯახს, რომელსაც ომში მამის დაკარგვით გამოწვეული დიდი მწუხარება ეტყობოდა.

კედელზე ეკიდა ქერა კაცის შავჩარჩოიანი სურათი.

ბევრი არ უფიქრია თინიკოს, კოლმეურნეობას მიაშურა... დაღამებამდე პლანტაციაში ტრიალებდა.

თავდაპირველად უჭირდა მერვეკლასელ ქალიშვილს.

ღამით მეცადინეობდა და თვალები ვბლიტებოდა დაღლილს.

ხელები, წელი და მუხლები სტკიოდა. მაგრამ არ შეეპუა სიძნელეს — უთენია ადგომა ისწავლა, მამლის ყივილს ასწრებდა. მარტოდმარტო შეუყვებოდა აღმართს კალათით ხელში...

პლანტაციაში მისულს ცისკარიც ეწეოდა. მხნეობა ემატებოდა. ნამშეუშრობელ ყლორტებს მოუსვამდა ხელს... მერე კალათას მოიმარჯვებდა და კრეფას იწყებდა. ჯერ ერთი ხელით კრეფდა, მერე ორივე ხელით კრეფას ეზიარა. შრომა შეუმსუბუქდა დედას.

პატარა ხარო — ეუბნებოდნენ კოლმეურნეობაში და ჩაის გასხვლას არ აბდობდნენ. თინა მაინც ჯიუტობდა, ხიბლავდა ძნელი საქმე, თუმცა თვითონაც კარგად ხედავდა, როგორ უვარდებოდა ხელიდან მძიმე მაკრატელი. როცა ამ ამბავს იხსენებს თინა, ღიმილით დასძენს — ვერ წარმოიდგენთ, როგორი შეუპოვარი სურვილი მქონდა, თვითონ გამეკეთებინა ყველა ძნელი საქმე.

— ოცდაექვსი წელია, რაც ჩაის ფოთოლს ვკრეფ. ყოველთვის ვფიქრობ, რომ სწორედ ჩემეულ საქმეს ვაკეთებ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ამ ხნის



მანძილზე არასოდეს ავად არ გავმხდარვარ, — ამბობს თინა.

— რამდენ კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფთ დღეში?

— მოსწავლეობის პერიოდში 30 კილოგრამს ვკრეფდი, დღეს კი 100-120 კილოგრამს...

მაისში, დუყის მოზღვავების დროს, კალათების დაცლას ვერ აუდიან მწონავები, მაშინ თინა დღეში 140-150 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

დრო თინასთვის შეუმჩნეველად გარბის...

ერთი წუთითაც რომ არ ისვენებს, არ დგას, მოძრაობს...

გადაბარვა იანვრის ბოლოს მოითავა. მალე გასხვლას დაიწყებს.

მარშან 13 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. წლეულს უფრო მეტს გააკეთებს. რამდენს? არ ამბობს — წინასწარ თქმა არ მწყურსო...

ჯერ დუყების აბიბინებამდე კაი დროა. ნახევარ ჰექტარ პლანტაციას საგანგებო მოვლა სჭირდება. თინაც მონდომებას არ აკლებს. მის პლანტაციაში ბუჩქები ყველა თანაბარი სიმაღლისაა.

შემოქმედებითი მიდგომა არც ჩაის ბუჩქსა ვნებს — ფიქრობს თინა და მეჩაიეობაზე დაწერილ მეცნიერულ ნაშრომებს კითხულობს.

• • •

კეთილი კარ-მიდამო. ლამაზად შემოღობილი ვენახი ეზო. აგურის კოხტა სახლი. სამზადის საკვამურიდან კვამლი ამოდის.

თინა სახლში გვეპატიჟება. დიდხანს ვსაუბრობთ. მზერა სწვდება კარადაში მოთავსებულ მოზრდილ ყუთს, რომელშიც თინა ინახავს მთავრობის ჯილდოებს, მოლოცვებს, წერილებს...

აქვეა ბრინჯაოს მედალი, რომელიც თინა ჭანტურიას 1966 წელს მიუღია სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის. მოლოცვა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების გამო:

1970 წელს თინას მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება... იყო მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, იყო საქართველოს კომპარტიის ოცდამესამე ყრილობის დელეგატი წალენჯიხის რაიონის პარტიული ორგანიზაციიდან.

...ყველაზე დიდი ბედნიერება მაინც შარშან დეკემბერში ეწვია. თინა ჭანტურიას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ღირსეულად დაფასდა მისი უმწიკვლო შრომა ჩაის წარმოების გადიდების საქმეში.

...ულოცავენ მოსკოვიდან, თბილისიდან, კიევიდან, ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მშრომელები, მოსწავლეები, მოკეთენი, ნაცნობები, მეგობრები...

მარტის თბილი საღამოა.

ჩაის ბუჩქიც მალე იფეთქებს. მერე დუყები აბიბინდებიან.

— რას უსურვებდით თქვენს თანამოსაქმეებს? — შევეკითხე წამოსვლისას.

— ყველას ვუსურვებდი დიდ შრომითს წარმატებას, — მიპასუხა სოციალისტური შრომის გმირმა.

მიმოზა კვირკვია

გამოიცა ციურიხში

ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ კიტა ჩხენკელმა (1895-1968) შეადგინა ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონი (გაზეთი „სამშობლო“, 1972 წ. 9 ივნისი, გვ. 5).

იგი ნაკვეთებად ქვეყნდება ციურიხში. შემდგენელმა ლექსიკონის მხოლოდ ექვსი ნაკვეთის გამოქვეყნება მოასწრო. ლექსიკონზე მუშაობასა და ნაკვეთთა გამოცემას განაგრძობენ კიტა ჩხენკელის მოწაფე ქართველოლოგი ქალები: იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი და ლეა ფლური.

ეხლახან თბილისში მოვიდა ლექსიკონის 23 ნაკვეთი, რომელშიც ძ (ძირას) — წ (წინდ) სიტყვებია დაბეჭდილი: Kita Tschenkéli — Georgisch-Dèutsches Wörterbuch (Faszikel 23, Zürich, 1972).

მეცნიერების თანამედროვე დონეზე შესრულებული ეს ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანია და მისი გამოცემით ციურიხის უნივერსიტეტი ხელს უწყობს ქართველ და შვეიცარელ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

წერილი ლონდონიდან

„სამშობლოს“ ეს ნომერი თითქმის მზად იყო, როცა რედაქციაში წერილი მოვიდა ლონდონიდან. გვწერს ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილი თანამემამულე ალექსანდრე ბესტავაშვილი. შეგახსენებთ, რომ გორელი ბესტავაშვილი ახალგაზრდობიდან აღმოჩნდა ინგლისში, ცხოვრობს ლონდონში, შეირთო ინგლისელი მეუღლე, უყავს შვილები — გოგი, მერი და ქრისტინე. ყოველთვის ახსოვს სამშობლო, საქართველო, გორი და იქ მცხოვრები ნათესავ-მოკეთენი.

პატივცემულო რედაქტორო!

შარშან და შარშანწინ, საახალწლოდ გამოსულ „სამშობლოს“ ნომრებში დაბეჭდილი იყო დედა-სამშობლოს ღირსეული ადამიანების მოლოცვები ჩვენდამი — უცხო მიწებს შეხიზნული ქართველებისადმი, აქვე გამოქვეყნებული იყო ახალი წლის მომლოცველთა ფოტო-სურათები.

დიდი ხანია ამგვარი ყურადღებისა და სითბოსათვის მადლობის წერილი მინდოდა გამომეგზავნა, აი, ეხლა ვაგზავნი მოგვიანებით. ქართველები იტყვიან (ინგლისელებიც), — „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

დიდად პატივცემულო თანამემამულენო, საყვარელო ქართველებო, თქვენი ადამიანური, მშობლიური, მოკეთური და პატრიოტული მოლოცვები, ჩვენთვის, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის დიდად სასამყოა. პირადად მე, ეს მოლოცვები მახარებს, მამხნევებს. თქვენ ჩვენთვის ფიქრობთ, ჩვენს ბედ-იღბალზე. ძმებო და დებო, სამშობლოს არა ჰყევხართ დავიწყებული, ყოველთვის მზად არის მიგიღოთ. არც იმაზე გემდურით თუ დაბრუნება არ გისურვებდათ, თქვენ იყავით კარგად, ოღონდ ეგ არის, სადაც ხართ, ქართველურად იყავით, არ დაივიწყოთ თქვენი მამული, ტრადიციები და ენა ქართულიო. ყველაფერი ეს თქვენს შთამომავლობასაც გადაეციოთ.

მრავალჯერ წავიკითხე თქვენი ძმური, თბილი სიტყვები და სიხარული ვიგრძენი. ჩემი სამშობლო ეხლა ღონივრად დგას. თავის თავს მშვენივრად პატრონობს. დიდმა ილიამ რომ გადმოგხედოთ, ვიცი, გულგატეხილი აღარ მიიძინებს. დიდი წინსვლაა, როცა ერი ისე ღონივრად გრძნობს თავს, რომ შეუძლია სამშობლოს გარეთ მყოფ თანამემამულეებზედ იზრუნოს — თვალი დაიჭიროს, ხელი გაუწოდოს.

მე „სამშობლოს“ ეს ორი ნომერი საწოლის თავთან, პატარა მაგიდაზე მიდევს. საღამოობით გადავშლი ხოლმე და თვალს მოვავლებ თქვენს სიტყვებს, სურათებს. მერე ჩემს თვალწინ გადაიშლება სამშობლო — ატენი, გორი, თბილისი. წარმომიდგებიან საქართველოში დატოვებული განსვენებულები და ცოცხლები. დაძინებამდე უეჭველად თვალს მოვავლებ „კვერნაქს“, სადაც მელიან დედა-მამა, ძმა.

დიდად პატივცემულნო და ძვირფასო თანამემამულენო: კონსტანტინე ერისთავო, ლადო გუდიაშვილო, ლევან გოთუა, ნარიამ ლორთქიფანიძევ, ირაკლი აბაშიძევ, იოსებ ნონეშვილო, თითოეულს, რომელმაც მოგვილოცეთ და გვისურვეთ ბედნიერი ახალი წელიწადი, შორეულ ლონდონიდან გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას.

თუ ოდესმე ლონდონში ჩამობრძანდებით, გთხოვთ მეწვიოთ, მჯერა რომ ისიამოვნებთ ჩემს სახლში, დიდ ლონდონში ერთი პატარა ქართული კუთხე მაქვს მოწყობილი, ბაღში მამისეული ჯიშის ატმები ხარობენ, ეზოს გორული ვაზის ხეივანი ამშვენებს, ყველაფერი აქვთ ინგლისელ მილიონერებს, აი, რაც მე მაქვს არავის მოეძევება.

თქვენით ამაყი ალექსანდრე ბესტავაშვილი

ლონდონი, ტელეფონი 85420387

12 თებერვალი, 1973 წელი.

მინაწერი: ალექსანდრე ბესტავაშვილის თხოვნას ვასრულებთ — ვაქვეყნებთ მის წერილს. მისგან მოკითხვას და კეთილ სურვილებს გაეცნობიან ხსენებული საამაყო ქართველები, მაგრამ ლონდონიდან მიღებულ წერილს ვეღარ წაიკითხავს სასიქადულო მწერალი ლევან გოთუა... ბატონმა ალექსანდრემ ალბათ უკვე შეიტყო ჩვენი დანაკლისი...

„ზომლი“

დილის ბაღნარში ზღვაში გასული უზარმაზარი თეთრი ხომალდივით მოჩანს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი შენობა.

...ინსტიტუტის პრორექტორი ივანე ჯაშის კაბინეტში ვარ.

— გვინდა „სამშობლოს“ მკითხველებს თქვენი ინსტიტუტის პროფესორი ქალები გავაცნოთ.

— ინსტიტუტში ბევრი სახელოვანი ქალი გვყავს, — მეუბნება პროფესორი. — მათგან ხუთი პროფესორი ქალია — მარიამ სიხარულიძე, ვალენტინა ლატარია, ალექსანდრა ბაღდავაძე, თამარ რობაქიძე, ქეთევან კიზირია.

ნიადაგმცოდნეობის კათედრა, პროფესორმა ვალენტინა ლატარიამ სამუშაო დაამთავრა და ჩინ მიიჩქარის.

—პატარა შვილიშვილები მყავს, — მეუბნება სახეგაბრწყინებული ქალი და მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უბრალო, ჩვეულებრივ ქალად, ბებიად იქცევა. — პირველკლასელ ეკას მაშა მოიყვანდა სკოლიდან, მაგრამ ფიგურულ სრიალზე მე დამყავს. მუსიკასა და ფრანგულში კი დედა ამეცადინებს შინ...

— უნდა ნახოთ, ჩემი პატარა გიორგი რა დღეშია, როცა ეკა მიმყავს. ხან მე მედება ფეხებში, ხანაც ეკას წაეტანება კაბაზე — დასთან აგვარებს საქმეს, მეც წამიყვანეთო.

— თქვენი სპეციალობა ნიადაგმცოდნეობაა, რა სახის ან რა ტიპის ნიადაგია თქვენი შესწავლის საგანი? — ვეკითხები მეცნიერს.

დინჯად დაიწყო:

— მაინტერესებს ნიადაგის როგორც ფიზიკური, ისე ქიმიური შემადგენლობა. ჩემი საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს ყომრალი ტიპის ნიადაგთა გამოკვლევას. ნიადაგის ეს ტიპი — ყომრალი, პირველად გერმანელმა მეცნიერმა რამანმა გამოყო შუა ევროპის პირობებისათვის. საბჭოთა კავშირში კი ამ პრობლემით დაინტერესდა რუსი სწავლული პრასოლოვი.

ყომრალი ტიპის ნიადაგი გვრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში. ძირითადად ეს არის მთის ტყიანი ზოლის მუქი ყავისფერი ნიადაგი, რომელიც უფრო ქვემოთ, მთის კალთებზე, გადადის ტყის ყავისფერ ნიადაგში, ეს უკანასკნელი — მდელოს ყავისფერში და ბოლოს შავ მიწაში. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი კიბე განსხვავებული ფერის საფეხურებით.

ნიადაგთა შესწავლას მიეძღვნა ვალენტინა ლატარიას სადოქტორო დისერტაციაც — „აღმოსავლეთ საქართველოს მდელოს ყავისფერი ნიადაგების აგროსაწარმოო თვისებები და მათი გაკულტურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესწავლა“.

თხუთმეტი წლის საველე და სტაციონარული მეთოდებით ჩატარებული ცდები მუხრანში, სკრაში, ბოლნისში, ცხინვალში და სხვა რაიონებში; მოგზაურობა საქართველოს მთა-ბარში სავლე ლიზიმეტრებით; ძიება მცენარესა და ნიადაგს შორის ურთიერთკავშირისა — აი რა აჯამოს ღვაწლმოსილ პროფესორს ახალგაზრდობის წლებიდან.

თეთრ კიბეს მაღლა მივყვებით. კიბესაყოლილი მინის კედლებიდან ვხედავ, როგორ ედება მიდამოს ადრეული გაზაფხულის ხასხასა სიმწვანე და კვლავ ვალენტინა ლატარიაზე ვფიქრობ. თითქოს ვხედავ ხეთას, ნაცნობ სოფელს ხობის რაიონში... ვხედავ მასწავლებლებს — ნიკოლოზ და ევგრაფი ლატარიების ლამაზ ეზოში მოთამაშე გოგონას... შემდეგში საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტს. პარალელურად უცხო ენათა ინსტიტუტში რომ ეუფლება გერმანულ ენას. მერე... სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, დოქტორს, ოჯახის დედას, დიასახლისსა და კარგ მეუღლეს, კარგ ბებიას, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერს, სახჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილესა და ამ გამოფენის ვერცხლის მედლით მკერდამშვენებულს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და საზოგადოება „ცოდნის“ წევრს. ვხედავ ჭარბთველ მეცნიერ ქალს ალმა-ათაში და ერევანში, მოსკოვსა და საზღვარგარეთის ქალაქებში გამართულ საკავშირო სიმპოზიუმებსა თუ საერთაშორისო კონგრესებზე...

• • •

საპროფესოროში ოთხი მანდილოსანი დამხვდა. ოთხი სხვადასხვა ხასიათი, ბიოგრაფია... რწმენა, მიზანი — საერთო.

მარიამ სიხარულიძე, ალექსანდრა ბაღდავაძე, თამარ რობაქიძე, ქეთევან კიზირია, — აი ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც ვალენტინა ლატარიასთან ერთად იღწვიან ამ ნათელ ჭერქვეშ მეცნიერების წინსვლისათვის, სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტების დაოსტატებისათვის.

ხუთი სახელოვანი მეცნიერი, ხუთი სახელოვანი ქალი. ინსტიტუტში მათ ხუმრობით „ხომლს“ ეძახიან. ისინი მართლაც თავისებურად ბრწყინავენ ქართული მეცნიერების ნათელ ცაზე და თავიანთი დაუღალავი შრომით ლაზათს მატებენ მას.

ალექსანდრა ბაღდავაძის ცხოვრების გზა სამტრედიის გიმნაზიიდან იწყება. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, მუშაობა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში. ბოლოს — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი... ასისტენტიდან პროფესორობამდე.

ალექსანდრა — ენტომოლოგიის კათედრის წამყვანი მეცნიერი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, მოსიყვარულე დედა...

ენტომოლოგთა ოჯახიო — ამბობენ ალექსანდრა ბაღდავაძის ოჯახზე, რადგან ოჯახის ყველა წევრი ერთე სპეციალობისაა.

— ალექსანდრას შვილიშვილებიც ალბათ ბებიისა და პაპის კვალს გაჰყვებიან, — იღიმება პროფესორი მარიამ სიხარულიძე.

ეს ის მარიამია, რომლის შესახებ აკადემიკოსი კოვარსკი წერდა: „იგი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი სელექციონერია, რომელმაც ღრმად დაამუშავა ქართული ხორბლის სელექციის საკვანძო საკითხები. მისი კვლევის შედეგები დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა“.

აკადემიკოსი ვუკოვსკი აღფრთოვანებული იყო ქართველი მეცნიერის სადოქტორო ნაშრომის მაღალი ხარისხით და აღნიშნავდა,

ჩვენი ინტერვიუ

საქმოგლო მარაბქამს იყოს ბედნიერი!



საუბარი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორთან ნათელა ჭანსაძესთან.

● პატივცემულო ნათელა, რითი იყო ღირსშესანიშნავი თქვენთვის შარშანდელი წელიწადი?

— ყველა წელიწადი ღირსშესანიშნავია, თუნდაც თავისი სიახლით. 1972, უკვე ძველად წოდებული, ჩემთვის მართლაც გამორჩეული გამოდგა. შარშან, 26 აპრილს, ფრიად საპატიო საქმე დამავალეს — დამნიშნეს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ეს ინსტიტუტი საკვლევ ობიექტად მქონდა შერჩეული ჩემი სადოქტორო დისერტაციისათვის — „უმაღლესი პედაგოგიური განათლების პრობლემები საქართველოში“.

● ორიოდე სიტყვა თქვენს ბავშვობაზე.

— დავიბადე ქუთაისში. თეთრ ხიდთან დღესაც დგას ჩვენეული სახლი. რაიონის პირას ვიზრდებოდი. გელათი და ბაგრატის ტაძრის ნანგრევები სამარადჟამოდ დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში როგორც ბავშვობისდროინდელი უწმინდესი მოგონებანი.

მამა სამხედრო მყავს, მთელი ოჯახი, როგორც იტყვიან, ბორბლებზე ვიდექით. საშუალო სასწავლებელი ბათუმში დავამთავრე, მერე თბილისში გადმოვსახლდით...

● შრომითი საქმიანობა როდის დაიწყეთ?

— თითქმის სტუდენტობასთან ერთად. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ამ საამაყო უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ ამირჩიეს. მესამე კურსზე სტუდენტი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი ვიყავი, რაიონი ერთ-ერთი უდიდესი იყო ქალაქში, თანაც ყველაზე ახალგაზრდული — მთელი უმაღლესი სასწავლებლები ხომ მის ფარგლებშია. სტუდენტობა კი, მოგეხსენებათ როგორი ძალაა კომკავშირული მუშაობის გასაშლელად. 1954 წელს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მირჩევენ, 1958 წელს მოსკოვში გადამიყვანეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. მეუღლე რაღას იზამდა, წამომყვა და უმაღლეს პარტიულ სკოლაში დაიწყო სწავლა. სწორედ მოსკოვში ყოფნისას ამირჩიეს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ საქართველოს დავუბრუნდით და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დავიწყე მუშაობა.

● გვიამბეთ ინსტიტუტზე, რომელსაც დღეს ხელმძღვანელობთ.

უკანასკნელი სამი წელიწადი საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი ვიყავი. ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც — სწორედ ამ წლებში დავიცავი სამეცნიერო ხარისხი პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდებაზე და უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. მაგრამ თავი და თავი ჩემს საქმიანობაში მინც პროფკავშირული მუშაობა იყო: ეს წლები ჩემთვის გამოცდილების დიდი სკოლა გახლდათ — ეხვდებოდი მშრომელებს, ეზრუნავდი შრომის სწორ ორგანიზაციაზე, მშრომელთა სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. „ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს“ თავმჯდომარედ სწორედ მაშინ ამირჩიეს. ვარ აგრეთვე საკავშირო ქალთა კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის წევრი. მოგეხსენებათ, „ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭო“ დიდ ამოცანებს ისახავს მიზნად: გააუმჯობესოს ქალის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, დაეხმაროს ქალს, რათა მან კარგად შეათავსოს ერთმანეთთან საზოგადოებრივი საქმიანობა და დიასახლისობა, შრომა და დედობა.

— თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი მასწავლებელთა ერთ-ერთი საუკეთესო სამზედლოა საქართველოში. იგი გამოირჩევა ფაკულტეტების, კათედრების, პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის სიმრავლით, სტუდენტთა კონტინგენტით.

ინსტიტუტი 1935 წელს დაარსდა და ათი წლის მანძილზე სამასწავლებლო ინსტიტუტად იწოდებოდა. მაშინ სწავლების ხანგრძლივობა მხოლოდ ორი წელიწადი იყო. 1946 წელს სასწავლებელი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. 1956 წელს კი ინსტიტუტმა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლება მოიპოვა.

სასწავლებლის კედლებში შრომობს 53 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 134 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი, 112 უფროსი მასწავლებელი, 51 ასისტენტი. გვეამაყება, რომ ჩვენთან მოღვაწეობენ გამოჩენილი მეცნიერები — აკადემიკოსები ვასილ გულისაშვილი და ალექსანდრე ფრანგიშვილი.

დღეისათვის ინსტიტუტს აქვს 8 ფაკულტეტი: ქართული ფილოლოგიის, რუსული ფილოლოგიის, ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბუნებისმეტყველების, ფიზიკა-მათემატიკის, პედაგოგიკისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა. სწავლება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეა.

ყოველ სექტემბერს ინსტიტუტს 1100-1200 სტუდენტი ემატება. ამჟამად დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე 6154 სტუდენტი სწავლობს. დღეისათვის ინსტიტუტს აღუზრდია სხვადასხვა სპეციალობის 16.653 პედაგოგი, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეში მოღვაწეობენ.

● თქვენ პირველი რექტორი ქალი ბრძანდებით საქართველოში. რას გავალებთ თქვენი თანამდებობა?

— ჩემი უპირველესი და უმაღლესი მოვალეობა ინსტიტუტზე, აქ მოღვაწე ადამიანებზე ზრუნვაა. მე ხომ მხოლოდ მომავალი თაობის აღზრდისათვის არ ვიღვწი, არამედ ჩემს გამზრდილებშიც ვტრიალებ. ისე მგონია, მათთან სამუდამო ვალში ვარ მეთქი. ახალგაზრდა თაობის აღზრდა მომავლის უზრუნველყოფაა. მომავალს კი პირნათლად უნდა შეეხვედეთ. მომავალმა ჩვენზე, დღევანდელ აღმზრდელებზე, თამამად და მადლიერების გრძნობით უნდა თქვას — აღასრულეს თავიანთი ვალიო.

● რას ეტყოდით თქვენი ინსტიტუტის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს?

იცოდნენ და ახსოვდეთ, რომ პედაგოგის პროფესიის არჩევა ერთ-ერთი უველაზე რთული პროფესიის არჩევას ნიშნავს — ისინი ხომ მასწავლებლები იქნებიან, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გამზრდელები. მომავალი თაობა კი დღევანდელზე უფრო განათლებული გვჭირდება. ამდენად აუცილებლად მიმაჩნია თანამედროვე პედაგოგის ცოდნა უსაზღვრო იყოს. ცოდნას კი მუყაითი გარჯა, წიგნის სიყვარული იძლევა. წიგნის ერთგულებისაკენ, შრომის სიყვარულისაკენ მოვუწოდებდი ინსტიტუტის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

● როგორია თქვენი სარვამარტო განწყობილება და სურვილები?

— წლევანდელი რვა მარტი განსაკუთრებით ბედნიერია ჩემთვის — მალე ბებია გავხდები. ამიტომ, აბვშლი გასაგებია — ჩემი სულიერი განწყობილება.

რაც შეეხება სურვილებს — სარვამარტოდ უველა ქალს სამშობლოს ერთგულებას, ამაგდარი ადამიანებისა და ურთიერთის სიყვარულს ვუსურვებ, წარჩინებით სწავლას, ნათელი იდეალების განხორციელებას, გამრავლებასა და გახარებას!

საუბარი ჩაიწერა
ჯემალ ქურხულმა

მარტი

გაზაფხულს მალავს მთები,
ქარი ქრის ველების ბოლოს,
გაზაფხულს აჩენენ ჩუმად
ქალის გულები მხოლოდ.
აბჟუვდა ფუტკრის გროვა,
არ იცდის სკათა გულში,
პირველი ღიმილი ბაღის,
ყვავის ყვავილი ნუშის.
მარტმა მოწმინდა თოვლი,
ბილიკს დაჰფინა მწვანე,
მზე მიწას გულზე ასვევს,
თავის მცხუნვარე წამებს.
და გაზაფხული ქორფა
ლაზათიანი სახით,
მოდის იებით ხელში,
ისმენს ტოროლას ძახილს.
ცა დაუსერავს მერცხლებს,
უბრუნდებიან ბუდეს,
წყაროს მიყვება კორდებს,
ია უჭარგავს უბეს.
მზე ეფერება ველებს,
მიწას დანათის სხივი,
გორაზე ადის ნელა
თეთრი ენძელის მწკრივი.
მიწა ჩაბღუჯა გლეხმა
და მოიღერა გული,
ბელტებს დაეცა სუნთქვა
საამო გაზაფხულის.
სადა ხართ, ჩემო დებო,
უთქვენოდ რისთვის ვრჩები,
თქვენკენ მობრუნდა უცებ
ყმაწვილქალობა ჩემი.
და დღესაც სევდად დამაქვს
ის შეწყვეტილი ლხენა,
მე დავბრუნდები მალე
რომ დავიბრუნოთ ყველამ
თავისუფლების რწმენა —
ქართულ მიწაზე ვიცან,
რაც ენატრება ასე
ელადის ცისფერ მიწას.

ფოტოსა იანაკოპულუ



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) თამარ რობაქიძე, მარიამ სიხარულიძე, ალექსანდრა ბაღდავაძე, ქეთევან კიზირია, ვალენტინა ლატარია.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

რომ მას „თავისი ღირებულებით მსოფლიო მნიშვნელობა აქვს“.

მარიამ სიხარულიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო სამეცნიერო მუშაობა. იგი კმაყოფილებით იგონებს იმ წლებს, როცა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის იულონ ლომოურის ხელმძღვანელობით მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის კაბინეტში, სადაც ატარებდა ცდებს და თეორიულ ცოდნას პრაქტიკას უკავშირებდა. სულ მალე ამ კაბინეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სელექციის პირველი სამეცნიერო სადგური საქართველოში, რომლის მეცნიერ თანამშრომელთა შორის მარიამ სიხარულიძეც იყო.

1938 წელს მარიამი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, გენეტიკისა და სელექციის კათედრაზე მიიწვიეს, სადაც დღესაც მუშაობს. იგი ავტორია ორმოცდახუთამდე სამეცნიერო შრომისა, რითაც შორს გაითქვა სახელი. არის ხორბლის ახალი ჯიშის „თბილისური 5“-ისა და ლობიოს — „ცანავა 3“-ის ავტორი.

მარიამ სიხარულიძე მონაწილეა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და მიღებული აქვს ამ გამოფენის ვერცხლის მედალი. შარშან, თავისი დიდი და უანგარო შრომისათვის დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

მარიამ სიხარულიძე პირველი ქართველი ქალია, რომელმაც მინდვრის კულტურების სელექციაში მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. თავის მეუღლესთან, პროფესორ ალექსი ჯაფარიძესთან ერთად, იგი დაუღალავად ემსახურება სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის კეთილშობილ საქმეს.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან კიზირია, ქალიშვილია ცნობილი ქართველი იურისტის პეტრე კიზირიასი, რომელსაც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი არაერთგზის ახსენებს თავის შრომებში.

ბიოგრაფია ჩვეულებრივია — დაიბადა თბილისში, დაამთავრა სკოლა, ინსტიტუტი, ასპირანტურა, გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი...

მუშაობს ზამთრის პერიოდში ხილის ცოცხლად შენახვის მეთოდებზე და გარკვეულ წარმატებებს აღწევს.

მიღებული აქვს საპატიო ნიშნის ორდენი, დაჯილდოებულია მედლებით, სიგელებით...

პროფესორი თამარ რობაქიძე დაინტერესებულია საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების ჯიშებისა და ჯიშური ფორმების გამოვლინება-შესწავლით.

შარშან გაზაფხულზე მოსკოვში გამართულ საკავშირო სიმპოზიუმზე დიდი მოწონება დაიმსახურა თამარ რობაქიძის მოხსენებამ: „სურნელოვან-სანელებელ ბოსტნეულ კულტურათა სელექციის მეთოდი“. მას ეკუთვნის ხახვის ახალი ჯიში „კახური ბრტყელი“, რომელიც გამოირჩევა სურნელოვნებით, კარგად ინახება და უხვმოსავლიანია (ჰექტარზე 55 ცენტნერი).

ძიება ახლისა, ცდები, შეჯვარების მეთოდები...

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ნაკვეთში ცალკე კვლები აქვთ მიჩენილი ბოსტნეულ კულტურებს: ნიახურს, ქინძს, წიწაკას, ქონდარს, ტარხუნას, პიტნას, ცერეცოს, კამას, რეჰანს... და დადის პროფესორი კვლებს შორის, რომ შემდეგ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანოს ქართული სურნელოვან-სანელებელთა მადლი.

— რას უსურვებდით სარვამარტოდ მამულს დაშორებულ ქართველ ქალებს? — მივმართავ ტრადიციული კითხვით ღვაწლმოსილთ.

— ვულოცავთ დღესასწაულს. ყოფილიყვნენ ღირსეული დედები, შვილთათვის ესწავლებინოთ ქართული და სამშობლოს სიყვარული შთაენერგოთ, არ შეებღალოთ წმინდა მანდილი ქართველი ქალისა.

ᲗᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ

მირის ყივილი

მიხეილ ჯავახიშვილი



კაშორი ნაკითხია: უყვარს ლამარტინი, პიუგო — დანარჩენი დაავიწყდა. ის კი ახსოვს, რომ ბევრს კითხულობდა, ძალიან ბევრს, მაგრამ...

— სულ დამავიწყდა, ბევრი რამ დამავიწყდა. რა ვქნა, ასე სცოდნია სიბერეს. აბა, კიდევ წამიკითხეთ რამე.

წიგნი გადავშალე, წავაწყდი და წავუკითხე:

ვაჭ სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველმეც შენი მონდობილი
ხიდაგმცა ჩემებრ სტირსა,
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!

და სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე.

მოხვდა, შეკრთა, მომიბრუნდა, ჯერ პირი აცმაცუნა, შემდეგ წვერებში ჩაიკვნესა:

— ჰელა, ილ ა რეზონ — ვაი რომ მართალია! დიდი სიმართლე უთქვამს, დიდი... სადაურსა სად წაიყვანს... — და ათრთოლებული ხმით დაუმატა: — მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, ღმერთი!

— შერ კაშორ, — ვკითხე, — დავიჯეროთ, ამდენ ხანს ერთი ქართველიც აღარ შეგხვედრიათ სადმე?

შუბლი შეიკეცა. დიდხანს სდუმდა. მერე მოიგონა:

— ამოდენა ვიქნებოდი, — და თავის მუცლის დონეზე გაფშიკა მკლავი, — ამოდენა ვიქნებოდი, როცა ჩემი დედ-მამა მთებიდან აეყარა და ველნარში გადასახლდა. ურმით მივდიოდით... შორს, ძალიან შორს წავედით. რუსებში ჩავსახლდით... მას აქეთ ჩვენებური აღარავინ მინახავს. თუმცა მაგონდება, კატორღაში შემხვდნენ, მაგრამ მე იმათი თითქმის აღარაფერი მესმოდა... მერე ისიც დამავიწყდა, რაც ვიცოდი.

— ახლა? ახლა სადა ხთვლით თქვენს თავს — ქართველებში, რუსებში თუ ფრანგებში?

— ახლაა? — გააგრძელა. — ახლა თავდაპირველად ადამიანი ვარ, ინტერნაციონალი... რა თქმა უნდა, ასეა: მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ვიბრძოდი. მაშ ასე: ჯერ ადამიანი ვარ, შემდეგ ფრანგი... დიაღ, ფრანგი გახლავართ.

— მერე რუსი იქნებით. — შევეპარე ფრთხილად.

— ხესა — ავრეა. იქაც ვიბრძოდი, ამხანაგები მყავდა... იქ დავიტანჯე. იქ დავკარგე ჩემი ახალგაზრდობა... ცოლი, შვილები.

— ცოლი და შვილებიც?

— დიაღ, ცოლი და შვილებიც... ყაზანის მახლობლად ერთ სოფელში... სახელი დამავიწყდა.

— იმ სოფლის სახელი აღარ გახსოვთ, სადაც დაიბადეთ?

კაშორი ნიკაპით ჯოხის თავს დაებჯინა და ჩაფიქრდა.

— ნონ! — სთქვა დუმილის შემდეგ და თეთრი თავი გააქნია. — არა, არ მახსოვს. აღარ მახსოვს.

— თქვენი მამის სახელი?

თეთრი თავი თითქო კისერს მოსწყდა, მკლავებში ჩაუვარდა და იქ წაიკრუსუნა:

— დამავიწყდა... ეგეც კი დამავიწყდა... ალბათ იმიტომ დამავიწყდა, რომ ფრანგები მამის სახელს არ ატარებენ.

— დავიჯეროთ, დედის სახელიც აღარ გახსოვთ? — უხეშად ვძიძგნი ბებრის წყლულს. ჯოხი ძაგძაგებს, შემდეგ იდრიკება.

— ოოჰ, ღმერთო ჩემო! — ახრიალდა კაშორი. — ეს ერთი ხანია დედის სახელიც დამავიწყდა... ზოგჯერ შვილი გამახსენებს ხოლმე, ან შვილიშვილი... ოოჰ, მაზერაბლ — შე უბედურო ჩემო თავო!.. დაწყეველილო სიბერევ!.. მამან... შერ მამან — დედა ჩემი... ჩემი ძვირფასი დედა...

— შერ კაშორ, — ვამშვიდებ — შინ დაბრუნდებით, იქ გაგახსენებენ, არა ღირს მაგის გამო შეწუხება. დაწყნარდით... დამშვიდდით...

თეთრი თავი დიდხანს ცახცახებს. განიერი ბეჭები ხტუნაობენ. წვერი ცანცარებს, ხოლო ჯოხი ისევ თრთის და იღუნება.

— მამან... შერ... მამან... — სლუკუნებს თეთრ წვერებში და უარესად იღუნება.

ძლივს დამშვიდდა. თავი ცალ მკლავზე დაიდო, გვერდულად შემომხედა და ბავშვივით მომეპარა:

— მიამბეთ რამე, მონ შერ, გამახსენეთ. ჩემი ქვეყნისა არაფერი ვიცი... არც უწინ მცოდნია.

ყინული გალხვა: „ჩემი ქვეყანა“ ახსენა, და მეც გავახსენე, რაც მომაგონდა: ჩვენი მთები, ველ-მინდვრები, მდინარენი, ქალაქები, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი, კაშორი ხან იღიმება, ზოგჯერ იქმუხნება: იგონებს და ვერაფერი გაუხსენებია — არც ერთი მთა, არც მდინარე, არც კუთხე, არაფერი! აღარაფერი!

— კახეთი... ქართლი, — რიგრიგად ვთვლი პროვინციებს, — იმერეთი, გურია, სამეგრელო...

— არ მახსოვს... არ მაგონდება.

და მწუხარებით იქნევს თოვლიან თავს.

— იქნება ბევსური ხართ... ან რაჭველი... ან კიდევ თუში, ფშავი, ჰპარელი?

— ნონ, მონ შერ, ნონ, აღარ მაგონდება, არა... ვაი მე, უბედურს, ვაი მე, საბრალოს!

ყოველივე ცხრაკლიტურია მისთვის, ყველანი და ყველაფერი დაეკეტა, დაემალა, დაეკარგა. რკინის უუთი გაუტეხელია, გაუბზარავი. ტყუილად ვუკლი და ვუჩხიკინებ.

კაშორი კი ისევ ციხის ტყვესავით იმუდარება:

— რაკონტე ანკორ — კიდევ მიიამბეთ რამე, კიდევ.

და მეც უიმედოდ ვუკლი ირგვლივ მიუკვალ ციხეს: ვუამბობ მოკლედ ჩვენს ისტორიას, ვინაობას, ახალსა და ძველს, ავსა და კარგს.

ხოლო მოხუცისა ყოველივე მისმენს: დაღებული პირი, ბანჯგვლიანი ყურები, გაღვივებული თვალები, ცანცარა წვერიც, მთრთოლვარე თავიც და უჩინარი გულიც, თან დროგამოშვებით ბუტბუტებს, ან იძახის:

— ტიენ!.. საოცარია!.. საშინელია!.. დიდებულია!..

შემდეგ უცებ წამწყდა ხელში და მკითხა — თითქო ამის დავიწყებისაც ეშინოდაო:

— დიტ მუა — მითხარით, როგორ ითქმის ქართულად პაპა ე მამან — მამა და დედა?

და ისევ ყველაფრით ჩამაშტერდა: თვალებით, კბილებით, ყურებით და გულით.

— ფრანგულად „პაპა“ მამას ნიშნავს, ქართულად კი — პაპას, მამის ან დედის მამას.

— ტიენ! — შეკრთა მოხუცი.

— თქვენებური „მამან“ — დედა — ჩვენებურად მამას უდრის. ქართულად კი ასე გამოითქმის: დედა... დე-და!

— საოცარია, საკვირველია! დედა... დედა! — და ამ სიტყვას ფრჩხილებით, სულით და კბილებით დაეჭიდა: — დე-და... — იმეორებდა. — დე-და, დედა... დე-და! — მერე მოტყდა და დაიკვნესა: — მაინც არ მაგონდება, ეს სიტყვაც აღარ მაგონდება, ოოჰ, უბედურო ჩემო თავო! საბრალო სიბერევ! ორევუარ, მონ შერ, ნახვამდის! დავიგვიანე... ალბათ მეძებენ.

და ოხვრით, ბურტყუნით და ბარბაცით წაფორხილდა — თითქო ბრაზით, დარდით და ურვით დატვირთულ ტომარას მიათრევდაო.

* * *

მეორე თუ მესამე დღეს კაშორი თუ კაიშაური აღარ გამოსულა ბაღში. რამდენჯერმე ჩავუარე სახლის წინ, მაგრამ ვერავინ დავინახე, პატარა ბავშვის გარდა, რომელიც ბურთს დასდევდა.

— გარდა ამისა, რაღაც უცნაური ემართება.

— რა ემართება, მადამ?

— ხასაცილოა. თორმეტი წელიწადი ამ ოჯახში ვარ და ათჯერაც ძლივს გამიგონია მოხუცისაგან — მე კავკასიელი ვარო. აქამდე მეტი არაფერი უთქვამს. ახლა კი...

— ახლა კი?

— ეხლა კი აიჩემა: ჟორჟიენ და ჟორჟიენ — მე ქართველი ვარო. ვეღარ ისვენებს. დასაჯდომი ან დასაწოლი ვეღარ უპოვნია. დღედაღამ კრუსუნებს, ბბორგავს. დადის და რაღაცას იგონებს.

— მერე, მადამ, მოიგონა რამე?

— ვერაფერი. ვერც ერთი სიტყვა, ვერც ბუჩქი, ვერც სოფლის ან ქალაქის სახელი. მუდამ თქვენზე ლაპარაკობს — ჩემი შვილიაო, ხა-ხა! სასაცილო არ არის, მესიე?

— რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

— დაგვტანჯა: გამახსენეთ, რა ჰქვიან ქართულად „მამან“-სო?

— დედა. — ჩავურთე მე.

— სესა, ეგ არის! გახარებული ბავშვივით დაბრუნდა და გვიამბო, ეგ სიტყვაც გვითხრა. მერე ყველას დავგვიწყდა. სასაცილო არ არის, შერ მესიე?

— რა თქმა უნდა, მადამ, სასაცილოა.

— აი, მოვედით კიდევაც. ანტრე მესიე. აი მისი ოთახი. შებრძანდით. ორევუარ!

კარები შევაღე და შევედი. კუთხეში თეთრი ნიჩაბი აცანცარდა. ორი მკლავი ცახცახით გამომიშვირა და ახრიალდა:

— მონ შერ ფიხ!... ჩემი შვილი. ოოჰ, ჩემო შვილო!

და ჩამიხუტა, თანაც მისაყვედურა:

— აგრე უნდა, განა! რატომ არ მომიგონე? რატომ არ მოხვედი? ავად გავხდი. ოთახიდან ვეღარ გამოვდივარ.

— არ ვიცოდი, შერ კაშორ...

— კაშორ, კაშორ! — წყენით წამოიძახა. — თქვენთვის კაშორი კი არა ვარ, არამედ კა... კაი... კა...

— კაიშაური. — გავახსენე.

— აი, იქამდე მივედი, რომ საკუთარი გვარიც კი დამავიწყდა. ოოჰ, შე უბედურო, შენა!

— ნუ სწუხდებით მაგის გამო. მესიე კაიშაური.

— არა უშავს-რა, — გამხნევდა. — ჯერ ეს მითხარი, გამახსენე, შვილო, რა ჰქვიან ჭართულად „მამან“-ს? დამავიწყდა.

— დედა.

— დე-და! დე-და! — გაუხარდა. — აბა, ადექი და ეგ სიტყვა ფრანგულად დამიწერე აგერ იქ, იმ ქაღალდზე... მარჯვნივ... ზემოთ... სწორედ მანდ.

ფანქრით დავწერე თეთრ ქაღალდზე. დავწერე და იქვე ამოვიკითხე — ისევ ფანქრით მინაწერი: „სოლომონ“ და „ელენ“.

— ეს ვისი სახელებია, მესიე კაშორ... კაიშაური? აქ სწერია სოლომონ და ელენ.

— ჩემი მამან ე პაპა! — წამოიძახა და სახე გაუბრწყინდა. შერე გარკვევით და აღფრთოვანებით მოაყოლა: — მონ დედა, დედა! შერ დედა, მა შერ დედა! — და ერთი წამის შემდეგ, ახო ჩინს რომ ვერ დახძლია, ბავშვივით ატირდა! — შემი დედა... ტშემი დე-და... დედა!

შემდეგ ცოცხალ წიგნივით ამალაპარაკა ვინა ვართ? რამდენი? რა იყო? როგორ მოხდა? ბოლოს, დღევანდელიც რომ ვუამბე, ძლივს დაიჯერა.

— მაშ მე რომ მოვინდომო დაბრუნება, შემიშვებენ ხაჭართველოში?

— უეჭველად.

— სახიფათო არაფერია?

— რა თქმა უნდა, არაფერია, პირიქით. ოკონტრერ, თქვენს წარსულს რომ გაიგებენ, დიდის პატივითაც დაგიხვდებიან.

დიდხანს იფიქრა, დიდხანს აცმაცუნა წვერებში ჩაფლული მიკეტილი ხარკმელი. მერე თავი მოიბრუნა და...

— მაშ, შვილო, ახლო მოიწიე... არავინ გაგვგოს, — და ყურში ჩამიბრიალა: — უნდა წავიდე... უნდა დავბრუნდე.

— თქვენ? თქვენ უნდა დაბრუნდეთ?

— ჰო, მე, ანდრო კაიშაური. რას იტყვი?

ანდრო კაიშაური უნდა დაბრუნდეს. ოთხმოცდარვა წლის მოხუცმა, თითქმის დამბლად დაცემულმა, ასეთი შორი გზა უნდა გადაიტანოს. მერე რისთვის? ვისთვის? ვისთან შივა. ვინ დაუხვდება? არც ენა იცის, არც ნათესავს იცნობს. ან შერჩა კი ნათესავი? ან იქამდე ვინ ჩაიყვანს?

— გაოცდი, განა, მონ შერ!

— დიაღ... არ მესმის, რა გინდათ საქართველოში?

— დედა! — წამოიძახა ჭართულად.

— თქვენი ოჯახი ხომ რუსეთში გადასახლდა. მაშ თქვენი დედაც იქ იქნება დასაფლავებული.

— მართალია, რუსეთში მოკვდა. — და კისერი მოეღრიკა.

— კარგად ყოფილხართ მოწყობილი — ვცადე მისი საჭმუნავის წაშლა. — ყველაფერი გქონიათ: ხახლი, ბაღი, ოჯახი...

— კან მემ — შემაწყვეტინა — მაინც წავალ, უნდა ვნახო იქაურობა, ხალხი, ნათესავები. გარდა ამისა, ჩემი სამშობლო ხელახლად დაბადებულა... ხომ მართალია?

— მართალია...

— მაშ მარტო ამისთვისაც რომ წავიდე, ეხეც საკმარისია, ახალი ქვეყანა... ახალი ხალხი. ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი. ყველანი ჩემი შვილები და ნათესავები არიან.

— ნათესავები აქაც ბლომად გყოლიათ.

— არა, შვილო, არა. ესენი აქაურები არიან — ფრანგები, ფრანგი ქალის შვილები.

ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს წამდვილი ნათესავები — იქ, „ან უორეი“. ისინი ალბათ ხეხვნაირები არიან — ბუნებაც, ხალხიც, ცხოვრებაც. კაშორ თუ კაიშაურს არაფერი ახსოვს, მაგრამ გრძნობს და იცის, რომ...

— ნონ, ნონ! — იხე წამოიწია, თითქო მაშინვე ამირებდა ქუდის ალებას და ჭართველოში წამოსვლას. — არა, არა! უნდა წავიდე... უეჭველად უნდა წავიდე. ედდე შუა, მიშველე, მონ შერ, მასწავლე და მიშველე.

წამოიწია, მაგრამ ფეხი ვერ გაისწორა და ტანიც ველარ აიტანა. მერე მუდარით მომანათა გაცვეთილი თვალები და წყალწყალებულივით შემეხვეწა:

— აგრე როგორ გაგიძნელდა, შვილო, გზის ჩვენება და დარიგება? მიშველე-მეთქი, მითხარი...

— დამშვიდდი ა, მესიე. ახლავე გასწავლით ყოველივეს.

და ვასწავლე: დავჯექი და მთელი თამაზი დავწერე: კაიშაურის ვინაობა, თავგადასავალი და თხოვნა, რომ ჭამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცენ მას, „საწყალ მოხუცს, გზადაკარგულს, უპატრონოს“.

— დიაღ, დიაღ. — მიკარნახებს კაიშაური

დასასრული. დასაწყისი იხილეთ 1973 წლის № 4.

ელებში ჩაფლული პირით, — ასე დასწე-
ე: საბრალო მოხუცს, რომელსაც ამ ქვე-
ად გზა დაეკარგა. თავის მიწას მოსწუ-
ა... უბატრონოდ დაბერდა. დიად, დიად, უბა-
ონოდ დალია თავისი დღენი-თქო ესეც
ასწერე: მე კიდევ შემიძლიან... ცოტაოდენი
ნც გავაკეთო. ვინმე მაინც გავამხნევო,
უგეში მივცე... წავაბალისო. ესეც ბევ-
ა, ძალიან ბევრია. ვიცი რა ფასიც აქვს
ოგჯერ თუნდაც ერთ სიტყვას, ერთადერთს.
ასწერე, მონ შერ ამი?

— დავწერე, შერ პაპა.

— ახლა ასე დაასრულე: მე ღარიბ-ღატაკი
ცი ვარ. ეს სახლ-კარი ჩემს რძალს ეკუთ-
ის. რაც რამ მქონდა — სიცოცხლე, ძალ-
ონე, ახალგაზრდობა და ერთი შუჯა ნაშ-
ომი — ყოველივე იმას შევწირე: ანტერ-
ციონალს, სოციალიზმს, პროლეტარიატს,
რძოლას. დასწერე, შვილო?

— დავწერე, შერ პაპა.

— განაგრძე, შვილო: ნადირი სანადიროდ
ავა, ფრინველი — საკვებისათვის, ადამიანი
— საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე
ველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნა-
ში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს,
ამიანი — თავის ქოხს. მე კი წამოვედი
ველარ დავბრუნდი. ხომ დასწერე, შვი-
ო?

— დავწერე, მამა.

— მოუშატე: მე კი ველარ დავბრუნდი. ვი-
ძოლე, ვიმუშავე. აღარაფერი შემრჩა,
რდა ოთხმოცდარვა წლის ტკივილისა.
მეა, მეტად მძიმე ტკივილია. დღეს თუ
ალ უნდა გამსრისოს. მაშ ასე: ველარ დავ-
ბრუნდი თქო. იმდენი ვიბეჭდეთ, რომ დედ-
ამის სახელიც კი დამავიწყდა... საკუთარი
ვრიც... ისიც ალარ ვიცი. სად არის ჩე-
ი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვიან იმ კუ-
ებს. სწერ, შვილო, რასაც გეუბნები?

— ვწერ, მამილო.

— ისიც არ ვიცი, რა ჰქვიან ჩემს ნა-
ბარს. რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიბოლ-
ე. მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავ-
უნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც,
ოდერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს
ი: დამაბრუნეთ... წამიყვანეთ... მაჩვე-
ე... დასწერე, შვილო?

— დავწერე, — ჩავილაპარაკე ჩემთვის
ძლიერი დუმილის შემდეგ — დავ-
ე, მამილო. — და მოვბრუნდი: — გავა-
ე, შერ პაპა.

* * *

ღრო კაიშაური საჭანელა სკამზე გაშო-
ა და ჭერს ყურიმის—უცნაურის, წმინ-
ის, საიმქვეყნო ღიმილით. თანაც მძრთო-
ერე ხელს აფათურებს სივრცეში.
ე უცებ მკაფიოდ აჩურჩულდა — სუფთა
ოულით, ჩვენებური გამოთქმით:
— ჩემი დედა ელენე... მამა ჩემი სოლო-
ი... ვილაჟ ანანური.
ამოვიჭერი — თითქო ცეცხლზე ვიჭექით
ავთ დავადექი და სულგანაბულმა ყური
უგდე.
აიშაური ბუტბუტებს, თითქოს უჩინარს
ნებაო — ზოგს ქართულად, ზოგსაც
ანგურად.
— ვილაჟ ანანური... მაგონდება, მაგონდე-
ლრმა ხეობა... შიგ ვილაჟი... სოფელი ანა-
ი — და გარკვეული ქართულით დააყო-
— არაგვის წყალი.
ართნდული ვდგევარ. გული მძლავრად
ეთქავს. მეშინია — ვიღაც თუ რაღაც არ
ეფრთხო.
— გრანდ ეგლიზ ე ფორტერეზ — და
ლვე ქართულად გადათარგმნა: — დიდი
ეხია და ციხე... ძველი ციხე... ტყე...
ები... მწვანე მთები, ხე-ხე-ხე!
ხარულისაგან ჩაიხითხითა, ხელები მო-
ეშვიტა, აცმუტუნდა.
ადგილი მოვინაცვლე, წინ ავეტუზე და
ართულად ვკითხე:
— ანდრო, მიცანით?
ჭერ გაოცდა, შემდეგ გაუხარდა:
— ჩემი შვილი... ჩემი ვაჟი. ხომ ხედავ,
ომ გესმის, რა დამემართა?
— მესმის, ვხედავ... გაგახსენდათ, ქართუ-
ი გაგახსენდათ.
— ღმერთო, მიშველე! გამახსენდა... ყვე-
ფერი მომაგონდა. ვხედავ... ვიცნობ... —
ა აკანკალებული თითები თვალების წინ
აცუნა. — აი, აქვე სდგანან ყველანი...
ედავ დედა ჩემს... მაღალი, ლამაზი, შავგ-
ემანი... შავი მანდილი აქვს წამოსხმული...
, აქვე ზის ჩემს თვალწინ... მუხლებზე მე
ევარ — ცხრა თუ ათი წლის ბალღი ვარ...
ემს თავსაც ვხედავ. ვიცინი და ვეხვევი...
დედას ვეხვევი... მკოცნის და მიღუტუნებს...
ოჭ, დედი... დედილო!
ელები თვალებზე აიფარა. მერე ისევ გა-
ეშტრო:
— მამა ჩემი ბაღში მიდის, მეც მივდევ
უნცულით... მიწაზე ხილი ჰყრია. ვკრე-
ავ... კალთა სავსე მაქვს. შაჭრისაც ვაძ-
ევ, სოფოსაც, ტიტესაც... მერე ჩილიკას
ეთამაშობთ.
— მერე?.. მერე?.. — ჩავჩურჩულებ.
— კიდევ მაგონდება, ყველაფერი მაგონ-
ება, რაღაც მოხდა... მამა ყველაფერს ჰყი-
ებს... ურემზე ვსხედვართ და მივდივართ...
ალა. ძაუგი. მოზდოკი. იქ ვიზრდები...
ული თანდათან მავიწყდება. შერე რუ-
ს ქალაქები... შეთქმულება... ბრძოლა...
ეის კატორღა. ოოჰ. ღმერთო ჩემო,
ამაზი და დიდი ქვეყანა გამიოცხლდა!
დხანს სდუმს და იმ ქვეყანას უღიმის.
ეგ შემომხედა, დამაშტერდა, გაიხსენა:
მართლა, შვილო: ჩემი თხოვნის პასუ-
რ არ მოსულა?
ადია, დრო აერია.

— არა, მამა, ჯერ არ მოსულა.

ოთახს თვალი მოავლო და მკითხა:

— ეხლა სადა ვართ, შვილო?

ცხადია, სივრცის თვალიც შეეშალა.

— თქვენს ბინაზე, ქალაქ ნოეანში.

შუბლი შეიკრა—თითქო გაოცდაო, თანაც
ეწუინა. თვალებში მუქი ნაღველი ჩაეხსა,
ტუჩებზე ვარამი დაეწვა, თავი ჩააქნია, თით-
ქო ვიღაცას რაღაც უსაყვედურაო და გაბეე-
და.

მისმა რძალმა ერთი ჭიქა რძე შემოიტანა,
პატარა მაგიდაზე დასდგა და ის მაგიდა წინ
მიუდგა.

კაიშაური თვალს ადევნებს, თითქოს იმ
დედაკაცს პირველად ხედავსო.

— აი, თქვენი რძე. პრენე, გრან პერ —
მიირთვით, პაპა, — ეუბნება რძალი.

მოხუცმა ამომხედა, გაოცებული თვალე-
ბი ამომისროლა და ქართულად მკითხა:

— რა სთქვა? გადამითარგმნე, შვილო,
რა უნდა, რას მეუბნება?

— გადაგითარგმნოთ? — და გავხედე.

— ტიენ! — ჩემზე მეტად გაუკვირდა დე-
დაკაცს. — რა ენას ლაპარაკობთ?

— რა უნდა მეთქი, შვილო? გადამითარ-
მნე.

ახლა ტუჩები შეკეცილი ჰქონდა, შუბლი
— ნაოჭებით დაღარული. ხმაშიც სიცივე
ჩაიღვარა. მთელ სახეზე რაღაც მტკიცე უი-
ნი გადაიკრა.

— განა ვერ გაიგეთ? რძე მიირთვითო.

პირისახეზე ღიმილი გველის წიწილასავით
ჩაუცურდა და თეთრ ბუჩქნარში ჩაიმალა.

— როგორ ვერ გავიგე! ქართული რომ გა-
მახსენდა, განა ფრანგული დამავიწყდა!

— მაშ... არ მესმის...

გველის წიწილა ერთხელ კიდევ აიკლაკნა
ტუჩებთან.

— გასაგები ბევრი არაფერია. უთხარი ამ
დედაკაცს: ანდრე კაშორი დღეიდან ანდრო
კაიშაურია-თქო. უთხარი, უთხარი მეთქი!

— მესიე კაშორ დი, კე... — და ნათქვამი
გადავუთარგმნე.

დედაკაცმა პირი დააღო. მერე მოხუცს
ჰკითხა:

— ეს რაღას ნიშნავს? თქვენ თვითონ ვე-
ღარ მეტყოდით?

— რა სთქვა, შვილო? გამაგებინე. — ისევ
მე შემეკითხა კაიშაური.

ისევ გადავუთარგმნე და პასუხად ასეთი
განცხადება მივიღე — მტკიცედ და უდრე-
კად ნათქვამი:

— გადაეცი ამ დედაკაცს, რომ მე ერთ-
ხელ და სამუდამოდ უარს ვამბობ ფრან-
გულზე. მეყო... დროა გავათავოთ... ესეც
დუმატე: ამ დღეებში სამშობლოში ვბრუნ-
დები და კისრიდან სამუდამოდ მოგიყვდებით
თქო.

ესეც სიტყვა-სიტყვით გადავუთარგმნე.
დედაკაცმა გაიღიმა:

— მაშ თქვენს წასვლამდე სათქმელი რო-
გორღა გავაგებინოთ ერთმანეთს? — იკით-
ხა. — სასაცილო არ არის, მესიე?

— სასაცილოა, ქალბატონო.

და პასუხი რომ ვერ მიიღო, ერთხელ კი-
დევ გაიღიმა, მხრები შეიშმუშნა და გავიდა.

და იმ დღიდან თავის ოთახში ჩაიხახლა
კაიშაურმა — ლამად და თარჯიმანად.

* * *

— შვილო, პასუხი არ მოვიდა? — დღეში
სამჯერ მეკითხება კაიშაური.

— არა, მამა, ჯერ არ მოვიდა.

დრო მიდის, მოხუცი ანჩხლობს. ნათქვამს
ერთხელაც არ ღალატობს.

— შვილო, — დღეში რამდენჯერმე მეუბ-
ნება, — შვილო, უთხარი ამ დედაკაცს... გა-
დაეცი ამ ვაუს... გამაგებინე, რა უნდათ?..
გადამითარგმნე, რას ამბობენ?

„ეს დედაკაცი“ — მისი რძალი, ოხუნჯობს
და დღეში ხუთჯერ მეკითხება:

— მესიე, სასაცილო არ არის?

— სასაცილოა, მადამ, სასაცილო.

ბოლო „ეს ვაუი“ — პიერ კაშორი, ანდ-
როს შვილიშვილი, ბრაზობს და იმუქრება:

— რაკი ჩემმა პაპამ ფრანგობაზე ხელი
აღო, მეც უარს ვიტყვი შვილობაზე. ახლავ-
ვე წავიდეს თავის „ურორია“-ში, რაკი აგრე
უნდა ჭართველობა.

მაგრამ მუქარას ვერ ასრულებს და მო-
მართულ მანქანას ერთგულად ემსახურება:
შალაზიის გამგეა პარიზში. დილით ადრე მი-
დის და საღამოს ცხრაზე ბრუნდება.

ზოგჯერ მეც მივდივარ პარიზში და კაშორ-
კაიშაურის თხოვნას დავდევ. საქმე დეპეშით
კეთდება.

რომ ვბრუნდები, კაიშაურს ქალაქის ნაბი-
რას ვაწყდები. ზის სადმე მოლზე, ან სდგას
ატუზული და პარიზის გზას გასცქერის, თა-
ნაც გაფშეკილი ხელი საჩრდილობლად უჭი-
რავს კვინიზე.

რომ დამინახავს, აიშლება და ჩანჩალით
მოდის ჩემსკენ. მერე შესდგება. პასუხს ჩემს
სახეზე წაიკითხავს და მოიღუშება.

— ჯერ არაფერია. — თვითონვე ამბობს
ჩემს მაგიერ.

— არაფერი. მაგრამ მალე იქნება. — ვამხ-
ნევებ და მკლავში მკლავს ვუყრი.

მოვდივართ და ვბაასობთ.

—ავი ხალხია. — ხჩიოის მამა თუ პაპა ჩე-
მი — ძალიან ავი ბალღები არიან. აქამდე
თვეში ერთიც ძლივს დამელაპარაკებოდა,
ახლა კი, რაკი ფრანგულს ალარ ვლაპარა-
კობ, ლეკვებივით ამედევნენ. დამცინიან.

მაგრამ არა უშავს-რა: ანდრო მომთმენია.
ოღონდ მალე შეუსრულდეს გულის ნატვრა,
თორემ ამაზე უარესს თუნდაც ახს მოით-
მენს.

ახლაღა გაახსენდა: ანანურის დიაკვანმა ან-
დროს წერა-კითხვა ასწავლა. მოზდოკში
ერთ ქართველს, ვინმე იაგორაშვილს, ქარ-
თული წიგნები ჰქონდა. ანდროც კითხულობ-
და.

ეხლაც ცდილობს დაკარგული იპოვნოს:
ჩემს წიგნებს ჩასცქერის. მაგრამ ახოებს ვე-
ღარ არჩევს და ობრავს:

—წამიკითხე, შვილო — დღეში ორჯერ მო-
მაგონებს.

მეც ვუკითხავ, რაც რამ ხელში მომხვდე-
ბა.

ანდროს ცალი უური თითქმის წიგნზე
უდევს, თან ხშირად მაწყვეტინებს:

— დიდებულია!.. მშვენიერია!... საოცარია!

ერთხელ გამახსენა:

— ჩვენებური სიმღერა მითხარი.

პირი დავაღე და ბალნიან უურში ათითოდ
ბანგი ჩავუმღერე. მეტი არც ვიცოდი.

— დიდებულია!.. საოცარია!.. მაგრამ...

მაგრამ არც ერთი არ ემცნაურა. ბოლოს
ერთიც გამახსენდა:

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ნუ მომკლა-ა-ავ...

და ათჯერ მაინც მამღერა, სანამ დაიხსო-
შებდა. მერე იფიქრა და მოიფიქრა:

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ჯერ ანანური მაჩვენე-ე-ე-ე...

და იმ დღიდან მისი ლექსი და ხრიალი
ჩემი უურიდან ველარ ამოდის, გამუდმებით
მღერის, თითქო ქილაში კენჭებს ჰყრიანო.

ბალღობა უბრუნდება. შვილიშვილს აპყ-
ვება და თამაშობს — ჩილიკას, ბურთს, კე-
კემალულობას. უფრო ხშირად კი მე დამ-
დევს, თანაც ხრინწით ჰკვნესის:

— ვაი, ჩემო თაგო!.. ვაი მე, უბედურო!

შოთას ტაეპიც გაახსენდა, ბაღში რომ ვუ-
თარგმნე:

ხადაურსა ხად წაიყვან,
ხად ალუფხვრი ხადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!

და ამ ლექსს დღეში ათჯერ ბუტბუტებს.

— შვილო, ცუდად გავხდი. ფეხზე ძლივ-
ლა ვდგევარ. — შემომჩივლა ერთხელ. —
დააჩქარეთ.

და იმ დღიდან გარეთ ველარ გამოვიდა.
თავი დავლუნე და ერთხელ კიდევ გავწე
ჰარიზისკენ. ნაშუადღევს თავწეული ვბრუნ-
დები, თითქმის მოვრბივარ.

კარი შევაღე და ჭიღლდი ავაფრიალე:

— მოგილოცავთ, მამილო, მოგილოცავთ!

— მივაძახე. — მივდივართ, მივდივართ!

მამა თუ პაპა ჩემ საწოლზე იჯდა. სახე
გაუნათლდა, თეფშივით დაურგვალდა. ხე-
ლებზე დაებჯინა, წამოიწია.

— მართლა?.. ღმერთო დიდებულო, ეს რა
ამბავია!.. ეს რა ამბავია! დავიჯერო? მართ-
ლა? დავიჯერო? წამოიწია, აბუტბუტდა. მა-
გრამ წელი ველარ აიტანა და მოჭრილივით
უკანვე გადავარდა.

* * *

კაიშაური კვდება.
განწირულია.
ფეხები გუშინვე მოსწყდა.
ხიდამძლე ქვეყიდან ეპარება.
დღეს თუ ხვალ გულშიც წასწვდება.

გაშოტილი წევს, თვალებს ჰბლიტავს, ტუ-
ჩებს აცმაცუნებს და სამკვდრო ხევდით შე-
მომცქერის.

— ვაი, დედახა! — შემომკვნესის. — ვაი,
დედახა! სადა ვკვდები... როგორ ვკვდები!

— ნუ შეშინდით, — ვამხნევებ, — ისე არ
მოკვდებით, რომ ანანური ველარ ნახოთ.

მაგრამ ჩემი მე თვითონაც ალარ მჯერა.

— მე ჩემი შევასრულე. — თითქო ვინმე
სხვას ეჩურჩულება ანდრო. — ყველაფერი
მივეცი ამ ქვეყანას... დანარჩენი თქვენ
იცით... ვალი დამიბრუნეთ.

— რა ვალი, მამილო? — ფრთხილად ვე-
კითხები.

— მიწას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი
— ან ცოცხალი, ან მკვდარი.

ან ცოცხალი, ან მკვდარი — ესაა მისი ერ-
თადერთი ნატვრაც და ანდერძიც.

— დამშვიდდით, მამა. ჩემ ვალად მიმი-
ღია. შეგისრულებთ.

მისი შვილიშვილი პიერი შემოდის, გაზის
ლამფას ანთებს. და მომაკვდავსაც იმ ლამ-
ფის ფერი ადევს.

— ხომ არაფერი გინდა, გრან პერ? — ეკი-
თხება პაპას.

ანდრო სდუმს. პასუხს მე ვაძლევ: კუთხე-
ში გავიყუანე და მოხუცის სურვილი გადა-
ვეცი.

— ადვილია — მიიღიმის პიერი. — კრემა-
ტორიუმი აქვეა. დავწვათ და ფერფლს გაგა-
ტანთ, ნე სე პა?

— კეთილი. აგრე ვქნათ, თუ...

— ჯერ ადრეა. პაპა ჩემი კიდევ დიდხანს
იცოცხლებს. — და გადის.

ავადმყოფის თავთან ვზივარ და უურს
ვუგდებ.

შუაღამე მოდის.

ყველას ხძინავს, გარეთ ნაწვიმარია.

ღია ხარკმელში სიგრილე და ნესტი შე-
მოდის.

უკანაბანიდან შანსონეტის გაბზარული ხმა
ისმის.

კაიშაური კი ბორგავს და ლუღლუღებს:

— დედას ვხედავ. აი, აქვე სდგას, — და
მოხუცი ჩემს ხელს ეძებს. პოულობს და უნ-
დილად უჭერს, თან ჩიფჩიფებს: — ნეტა რა
გინდა, დედი? რად დამცქერი ხევდიანის
ღიმილით?.. თავსაც მიქნევ... თითქოს მე-
ძახი.

არ მინდა ლანდი დავუფრთხო. ან რა სა-
ჭიროა! მგონი არც ძალმიძს. ცნობის კარი
უკვე დახშული აქვს — გალმეულში გადახვ-
ლდა.

ხელები ზევით უწევია. მოკრუნჩხულ თა-
თებს ბრმასავით აფათურებს, სანინის პირს
პოულობს და ზევით ეწევა — თითქოს უნ-
და პირისახეზე აიფაროსო.

დედის მოლანდება და სანინის წეწვა და-
სახრულის ნიშანია. ეს მეც ვიცი. და ამის
ცოდნა მეც იმ თითებივით მიწეწავს გულს.

„ველარ დავბრუნდი. — მაგონდება ამ და-
კარგულის ნაკარნახევი, როცა თხოვნას მა-
წერინებდა. — იმდენი ვიბეჭდეთ, რომ დედ-
ამის სახელიც დამავიწყდა“.

— ველარ დავბრუნდი. — ახოდა უცბათ
გონწასულიც. — ველარ დავბრუნდები, ვერა.

„უველანი დაბრუნდებიან: — ისევ ვიგონებ
ამავე ოთახში ნათქვამს. — მხეცი ისევ ბუ-
ნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს,
ადამიანი ისევ თავის ქოხს მოსძებნის. მე
კი...“

— მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნ-
დი. — იმეორებს თავისავე ნაჩვარს სულთ-
მობრძავი, და უმატებს: — ველარც დავბრუნ-
დები.

„ვიბრძოლე. ვიმუშავე. აღარაფერი შემრ-
ჩა, — ვიღაც იმეორებს ჩემს გულში. —
აღარაფერი შემრჩა, გარდა ოთხმოცდარვა
წლის ტკივილისა“.

— ვერა, ველარ დავბრუნდები. — ძლივს-
და მესმის წამხვლელის ჩიფჩიფი.

„მძიმეა, მეტად მძიმე ტკივილია. ხაცაა
გავისრისები“.

მოხუცი ჩიტის ბღარტივით აცმაცუნებს
ზეწრისფერ ტუჩებს.

„სად წაიყვან სადაურხა...“ — ჭფიქრობ
ჩემთვის.

და პასუხად მისი ბუტბუტი მესმის:

— ვაჰ მე, სადა ვკვდები!..

„განწირულია, განწირული“. — გამომაქვს
განჩინება.

და განწირულიც პირუკუღმა მიბრუნებს
შოთას ნათქვამს:

— ვხედავ, ღმერთიც კი განწირავს კაცსა.
შენგან განაწირსა.

წამოვდექი, გავიარე, დავუბრუნდი, კვლავ
დავჯექი, ხელით მაჯა ჩამიბღუჯა და თვალე-
ბი გაახილა.

— აქა ხარ, შვილო?

— აქა ვარ, მამილო. ნუ შეშინდები.

შრუდად გაიღიმა.

— დედა სხვაგან დაეკარგე... მეც აქ ვიკარ-
გები.

— ნუ მამილო, ნუ შეშინდები. არ დაგ-
კარგავ.

დიდხანს მიმზერს უკვე მინის თვალებით.
შიგ აზრი აღარ სწერია. მაგრამ პირთამდე
სავსეა პირუტყვული შიშით, უიმედო ძრწო-
ლით, სასოწარკვეთილი „მშვიდობით“.

— ვერა, ველარ დავბრუნდები. — მგონი
ეს სამი სიტყვა წაიჩურჩულა უკანასკნელად.

მინა უნებლად გადაიქცა. ჩემს მაჯაზე მი-
ხი ხელი მოდუნდა. მაინც ვიჯექი და დავც-
ქეროდი: ვგრძნობდი, რომ ის ხელიც იმ
თვალებივით იყინებოდა.

ფრთხილად წამოვდექი. ორივე ხელი მკერ-
დზე გადვუჯვარედინე. თვალის ქუთუთოე-
ბიც ჩამოვუწიე და გავბრუნდი.

ხარკმელთან ვდგევარ.

გარეთ ნაწვიმარია.

ოთახში ნესტი და სიგრილე შემოდის.

უველას ხძინავს.

ბაღშიც დუმილია, როგორც უკან, თეთრ
საწოლზე, თეთრ წვერებში, სადაც თითქო
სწერია:

— ვერა, ვერ დავბრუნდები.

გავაღვიძო კაშორები?

რა საჭიროა? გათენდება, გაიგებენ.

და ბაღის დუმილსა და სიგრილეში შევე-
რიე.

* * *

მაინც დავბრუნე. ანდერძი შევუსრულე.
პარიზში კარგი კრემატორიუმია.

დიდი კაცის ფერფლი ჭიბის კოლოფში
ეტევა.

ანანური ღრმა ხევშია ჩაწოლილი...

მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი
საუდარი და შერუჯული გალავანი.


ავტო შევაჩერე.

ზევით ავედი.

ანდრო გავიხსენე და იმ ნავლი ხევის
ნიავს გავატანე.



სადაც კი თოვს!



...ჭიშკართან ოთხიოდე წლის ბიჭუნა შემოგვეგება. თხილამურები დაუმაგრებია ფეხებზე, ხელში ვაუკაცურად უჭირავს ჯოხი.

კახა წაქაძე ვარო, —გვეუბნება და კიბესთან მორცხვად ატუზულ პატარა გოგონაზე მიგვითითებს — ნონაა, ჩემი და, ისიც წაქაძეა.

ჰო, კობა წაქაძე მამა არისო ჩვენი. შემდეგ გვთხოვს, შემომხედეთ, რა კარგი სრიალი ვიცი და დალმართზე ეშვება. კოჭებში ეტყობა, რა ბიჭიც იზრდება. როგორ არა ვთქვა — კვიცი გვარზე ხტისო...

შინიდან კობას მეუღლე მერი გამოდის, კეთილად გვიწვევს, სახეზე ღიმილი დასთამაშებს. კობას დედაც — დეიდა ელენე — სათნო, ამაგდარი, ისე გულითადად გვხვდება, თითქოს დიდი ხნის უნახავი ახლობლები ვეწვიეთ. ორიოდე წუთიც და ფოტოჟურნალისტი ედუარდ გიგილაშვილი კობას საოჯახო მუზეუმში თავის ფოტოაპარატს აჩხაკუნებს, მე შთაბეჭდილებათა წიგნს ვფურცლავ, მერი სუფრას შლის, დეიდა ელენე მოგიზგიზე ღუმელთან ფუსფუსებს, ხაჭაპურის თალირიგს იჭერს.

ნონა თავს გვაწონებს. კახა ტახტზე ადის, მუხლებში იხრება, მერე წელში იმართება და ტახტიდან ხტება — მამაჩემიც ესე ხტებაო.

შთაბეჭდილების წიგნში კი ერთმანეთს მიჰყვებიან ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური, იაპონური ჩანაწერები...

„ჩვენ, კუზბასელები... ჩვენ, ვოლგელები... გისურვებთ ციმბირულ ჯანმრთელობას, ქართულ დღეგრძელობას, მზისფერ სიხარულს, გისურვებთ მუდამ გიღიმოდეთ გამარჯვების მზე...“

„მრავალი შევარდენი აგეფრინოთ თქვენი ბუდიდან“...

„ბედნიერი ხარ, რომ ასახელე ერი და სამშობლო, შენი შესანიშნავი სპორტული ოსტატობა სკოლად იქცევა მომავალ თაობათათვის. შენ მარტო ქართული კი არა, მთელი საბჭოთა სპორტის ვაჟკაცურად უჭირავს ჯოხი. არასოდეს ჩაქრეს“...

„კობა, ჩემი ბავშვობის მეგობარო, გენაცვალე შენცა და შენს განუმეორებელ ლამაზ ნახტომ-. საც“.

დეიდა ელენე მიმარჯვებს წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან. სად დაითვლება! დედას გულმოდგინედ შეუკრებია ყველაფერი, რაც მისი შვილის წარმატებებს მოგვითხრობს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე წარსულში ოლიმპიური პაექრობის პრიზიორი, ნორვეგიელი შელდერუპი წერს:

„წაქაძე მსოფლიოში უდიდესი მხტომელია ტრამპლინიდან... მან გამოიგონა ხტომის ახალი სტილი და, როგორც ეტყობა, თვითონ არცა გრძნობს ამას. იგი, საერთოდ, არ ხრის ტანს. თავი უჭირავს გამართულად, ყოველგვარი დჰძაბვის გარეშე, შემდეგ თანდათან იხრება წინ ისე, რომ მისი სახე თხილამურებიდან ორი ფუტით არის დაშორებული. ამასთანავე მას ხელები შარვლის ნაკეცებზე უჭირავს. მისი სამაგრები და ფეხსაცმელი იმდენად თავისუფალია, რომ თხილამურებს მხოლოდ ფეხის თითებით ეხება. საბჭოთა სპორტსმენი საკმაოდ დიდ მანძილზე ხტება და მისი ფრენა მეტად ლამაზია. ჩვენ ყოველთვის ვთვლიდით, რომ სწორედ ამგვარად უნდა შეგვესრულებინა ხტომები, მაგრამ არასოდეს არ მეგონა, თუ ოდესმე მსგავსი სილამაზის ნახტომს ვიხილავდი. წაქაძე აბსოლუტური დაძაბვის გარეშე ხტება ჰაერში და ფრენის დროსაც კი ინარჩუნებს საკუთარი სხეულის სრული კონტროლის შესაძლებლობას. იგი წარმოუდგენლად მამაცი და გამბედავია... საერთოდ კი, ძალიან სასიამოვნო ახალგაზრდაა, გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში ყოველთვის იღიმება. მან ჩვენზე, მხტომელებზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა „დოიჩეს შპორტ-ეჰომ“ ქართველ სპორტსმენს ერთ-ერთი შეჯიბრის შემდეგ „ცის მოიერიშე“ რომ უწოდა, შეჯიბრში გამარჯვებულმა ნიკოლოზ კამენსკიმ ხუმრობით მიმართა თანაგუნდელს — ისეთი რა ჯადო გაქვს, რომ მე ვიმარჯვებ და შენზე კი წერენო!

„საუკეთესო, რომელმაც ვერ გაიმარჯვა“ — ჰქვია წერილს, რომელიც ვარშავის სპორტულმა გაზეთმა „შპეგლონდ სპორტოვმა“ დაბეჭდა:

„გინახავთ მიმინო, რომელიც ფრთაშეუხმული ისარივით ეძგერება მსხვერპლს? ის შესანიშნავი სანახავია და სწორედ ისეთია კობა, როცა იგი ჰაერშია. ქართველი სპორტსმენის გამოსვლას მოუთმენლად მოველოდით. გატრუნული მაყურებელი თვალს არ აშორებდა მიმინოს გაფრენას ჰაერში, მაგრამ იგი ზედმეტად წინ დაიხარა, დროზე ვერ გასწორდა და... ტრიბუნებმა ამოიოხრეს... წაქაძე დაეცა.

მეორე ნახტომისას მას აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი — პრიზიორებში მაინც ვერ ხვდებოდა, ამიტომაც განიზრახა ეჩვენებინა ფინელებისთვის, თუ როგორ უნდა ხტომა. თქვენ წარმოიდგინეთ, უჩვენა კიდეც. ისეთი გაბედული და განსაკუთრებული სილამაზის ნახტომი, რისთვისაც მან სპეციალური პრიზი — ვერცხლის თასი დაისაკუთრა, ქალაქ სხტის ჩემპიონატის ისტორიაში ჯერ არ უნახავთ. მაგრამ დაცემა პირველ ცდაში? ერთი სიტყვით, საუკეთესომ ვერ გაიმარჯვა“.

აი კიდევ ერთი ამონაწერი ფრანგული გაზეთიდან: „რამდენი გამბედაობა, რომანტიკა და სითამამეა ამ შავგვრემანი მეთხილამურის ოსტატობაში. ცის ლაჟვარდში იგი ისე დაფრინავს, რომ მისი სითამამე თვით არწივსაც კი შეშურდება“.

„თუ გსურს დიდ წარმატებას მიაღწიო, ტრამპლინიდან ისე უნდა ფრინავდე, როგორც პატარა ტანის ქართველი „რაკეტა“ კობა წაქაძე; ამ შესანიშნავმა მოთხილამურემ ევოლუცია მოახდინა ტრამპლინიდან ხტომის ისტორიაში“ — უთქვამს მსოფლიოსა და თერთრი ოლიმპიადის ჩემპიონს, გერმანელ ჰელმუტ რეინაგელს.

ამგვარი ჩანაწერი მრავლად შეიძლება მოვიღვაწოთ სხვადასხვა საბჭოური თუ უცხოური ჟურნალ-გაზეთიდან.

აქვეა უამრავი ფოტოსურათი. კობა ექვსი წლისა... საკუთარი ხელით გათლილი თხილამურებით პირველად რომ გახდა ჩემპიონი... შემდეგდროინდელი ფოტოებიც...

მაგრამ კობას წარმატებებზე უველაზე უკეთ კობას სპორტული „ნადავლი“ მოგვითხრობს. ერთი დიდი ოთახი აუვსიათ და მუზეუმად უქცევიათ კობას მედლებს, პრიზებს, ჯილდოებს, თასებს, სამახსოვროებს. ეს მხოლოდ ნაწილიაო, შეფარული სიამაყით გვიცხადებს მერი. მან ზეპირად იცის თითოეული ამ ჯილდოს, ამ სამახსოვროს ისტორია. რომელია მათში უველაზე მნიშვნელოვანი? ოჰ, ამას თვითონ კობა გეტყვით, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრის პრიზიორი და გამარჯვებული „მფრინავი ტორპედო“... ეს მედალი ავსტრიულ-გერმანული ტურნეს საპატიო ჯილდოა. 18-ჯერ მონაწილეობდა ამ ტურნეში კობა, მხოლოდ სამ კაცს აქვს ეს ჯილდო... ეს ვერცხლის თასი კი ბროზ ტიტოს მიუძღვნია კობასათვის, მისი სადღეგრძელო შეუსვამს ამ თასით და ალავერდს კობასთან გადასულა. ეს კი...

დაუსრულებლად შეუძლია მერის თხრობა...

...წითელი ღვინო შუშხუნებს. ვსვამთ კობას ოჯახის სადღეგრძელოს და... ოთახში შემოდის კობა — სახენათელი, მხნე ვაჟკაცი. შვილები ყიყინით ეგებებიან მამას. კობა ხაჭაპურის ნაჭერს მისწვდება, ღვინოს არ ეკარება — აქედან პირდაპირ ვარჯიშზე მიდის — თან ბოდიშობს დაგვიანებისათვის:

— ძალიანა ვარ დაკავებული, თორემ თქვენზე მეტად ვისი სტუმრობა გამახარებდა!

საუბარი „მფრინავ მეთხილამურეთა“ III საერთაშორისო შეჯიბრზე გადაგვაქვს, რომელიც იანვარში გაიმართა ბაკურიანში. ამ ტურნირში კობამ ბრწყინვალედ იასპარეზა — 70-მეტრიან ტრამპლინზე II ადგილი დაისაკუთრა, ხოლო 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო და საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრიზი დაიმსახურა. ეს გამარჯვება ძალზე საპატიოა, მაგრამ სრულ ფორმაში ჯერ კიდევ არა ვარო, გვეუბნება კობა. მალე წასვლა მომიწევს ფინეთში, ნორვეგიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიო...

— თქვენი ჯილდოებიდან უველაზე მნიშვნელოვნად რომელს თვლით?

— თქვენი არ ვიცი და ჩემთვის უველა მნიშვნელოვანია, ვერაფერს დავაწინაურებ, თავის დროზე უველამ დიდი სიხარული მომიტანა.

— ის მაინც მითხარით, საჩუქრები რომელ ქვეყანაში მიგიღიათ?

— უველგან, სადაც კი თოვს — იაპონიიდან ამერიკამდე, — არის პასუხი...

კობა! 28 იანვარს შენი ბიჭი კახა ოთხი წლისა გახდა, 5 თებერვალს კი ნონას 8 წელი შეუსრულდა, მალე დაბადების დღეს აღნიშნავს შენი უფროსი ვაჟი კობა. გილოცავთ მათ დაბადების დღეებს. შენს გზაზე ევლოთ. შენი სახელი და წარმატებანი ემრავლებინოთ. მზე შინა და მზე გარეთა არ მოჰკლებოდეს წაქაძეების სახლ-კარს...

ლია მიქაძე
ბაკურიანი





სურათზე: ამ თასით დაულევია ბროზ ტიტოს კობას სადღეგრძელო და ალავერდს „მფრინავ ტორპედოსთან“ გადასულა. მერი, კახა, კობა, ნონა წაქაძეები.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

სპორტული ქრონიკა

ორი სიხარული

მოსკოვის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე, რომელშიც ბევრი სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელი მონაწილეობდა, თავი ისახელა თეიმურაზ კაკულიამ. ქართველმა სპორტსმენმა უველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი მოიპოვა. ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ქვეყნის უძლიერესი ჩოგანი ალექსანდრე მეტრეველი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მასპინძელთა ღირსების დაცვაც მის ღირსეულ „მოადგილეს“ თეიმურაზ კაკულიას მიენდო.

ისიც სათქმელია, რომ ამ დღეებში თეიმურაზმა კიდევ ერთი სიხარული განიცადა, ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა ინჟინრის დიპლომი.

სამგისტთა საკავშირო

სამგისტთა საკავშირო ჩემპიონატში რამაზ ხარშილაძემ, რომელიც პირველ საშუალო წონაში გამოდიოდა, ჩემპიონის სახელი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ფინალში მისი მეტოქე, ევროპის ჩემპიონი, კაუნასელი ჩესლოვას ეზერსკასი იყო.

მსოფლიო ჩემპიონი გათუმიდან

მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის, სსრ კავშირის ექსჩემპიონის სარჭის სარხოიანის სახელი. თავისი მაღალი ოსტატობა მან არა ერთ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაში გვიჩვენა. ბათუმელი სპორტსმენის ტრიუმფით აღინიშნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატიც. მან აქ სამი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო როგორც პირად პირველობაში, ისე შერეულ და ვაჟთა წყვილებს შორის.

რედაქტორი
გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488